

# ომის გეზუქების სხელმძღვანელო მედიის წარმომადგენლებისათვის



2024



სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი - საქართველო  
STRATEGIC COMMUNICATIONS CENTER - GEORGIA



# ომის გეზუქეების სხელებქვენელო მედიის წერმომედვენლებიწათვის

2024

სახელმძღვანელო მომზადებულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სტრატეგიული კომუნიკაციები უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში, „სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი - საქართველო“-სა და „სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი“-ს მიერ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

პროექტს საქართველოში ახორციელებს აშშ-ს საელჩოს საჯარო დიპლომატიის განყოფილება „სტრატეგიისა და განვითარების ცენტრთან“ თანამშრომლობით. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, „სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თვალსაზრისს.

„სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

## **ავტორები:**

ერეკლე შუბითიძე

გიორგი მოლოდინი

თამარ ავალიანი

ალექსი ახალაია

არჩილ მარშანი

მარკ ლეიტი

გრიგოლი ინაშვილი

ISBN 978 - 9941-8-7020-0

# შინაარსი

|   |    |
|---|----|
| შესავალი  | 01 |
| <b>თავი 1: როგორ შევინარჩუნოთ შედეგობა მოწინააღმდეგის მიერ შექმნილი დეზინფორმაციული ქარიშხლის პირობებში</b> | 02 |
| ინფორმაციის როლი თანამედროვე კონფლიქტებში   | 02 |
| ბტრის მიერ ინფორმაციული ზემოქმედებისათვის განკუთვნილი აქტივობების მიზნები                                   | 04 |
| როგორ უნდა დაიცვათ თავი ზემოქმედებისაგან?   | 05 |
| <b>თავი 2: „სიზუსტე უმთავრესია. სჯობს გვიან, ვიდრე მცდარად.“</b>  | 06 |
| <b>თავი 3: ჟურნალისტის დაცვის სტანდარტები და შექანიზმები</b>  | 10 |
| I. „სამხედრო კორესპონდენტები“ და მათი სამართლებრივი დაცვის გარანტიები                                       | 11 |
| II. „სამოქალაქო პირის“ სტატუსის მქონე ჟურნალისტის უფლებები და მათი დაცვის გარანტიები                        | 13 |
| <b>თავი 4: შეიარაღებულ კონფლიქტში სენსიტიური ინფორმაციის გაშუქების ეთიკური სტანდარტები</b>                  | 16 |
| მოკლული ადამიანების, დაჭრილების, მძვინვარეობისა და დაკავებულების შესახებ ინფორმაციის გაშუქება               | 17 |
| <b>თავი 5: როგორ შევინარჩუნოთ „უნყვები ინტერნეტკავშირი“</b>   | 20 |
| გაფრთხილება   | 22 |
| <b>თავი 6: პირადი უსაფრთხოება და პირველადი დახმარების კომპლექტი</b>   | 25 |
| გადარჩენის ჯაჭვი  | 25 |
| DRCAB   | 26 |
| CPR – კარდიოპულმონარული (გულ-ფილტვების) რეანიმაცია  | 27 |
| დამწვრობა   | 29 |
| ჭრილობის მოვლა  | 30 |
| იმობილიზაცია  | 30 |
| <b>თავი 7: ჟურნალისტის მიმაგრება და აკრედიტაცია</b>   | 33 |
| მიმაგრების გავრცელებული ფორმები   | 34 |
| აკრედიტაცია   | 35 |
| დასკვნები   | 36 |
| <b>თავი 8. სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის მოკლე მიმოხილვა</b>   | 37 |

## შესავალი

ომის გაშუქება ხშირად ჟურნალისტური კარიერის მწვერვალია. საფრთხეების მიუხედავად, ან ნაწილობრივ, სწორედ მათ გამო – ბევრს მიუწევს გული იქით, სადაც სროლის ხმა ისმის, რათა სახელი მოიხვეჭოს და საკუთარი თავი გამოცადოს ამ ურთულეს გარემოში. ვიცი, რადგან თავადაც ასე მოვექცეულვარ.

თუმცა წარმატების მიღწევასა და გადარჩენას ცოდნა და გააზრებული მოქმედება სჭირდება. ეს სახელმძღვანელოც სწორედ ამაში დაგეხმარებათ. ადგილი, საითაც მიეშურებით, მხოლოდ საშიში კი არ არის, არამედ კომპლექსური და დამაბნეველია, სწრაფ განსჯა-შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარებს მოითხოვს. სამუშაო ადგილას, ტყვიების ქვეშ სწავლა გამოსავალი არ არის.

მოდით, კიდევ ერთ გაკვეთილს შემოგთავაზებთ – არასდროს დაივიწყოთ, რომ მკვდრები ამბებს ვერ გადმოსცემენ. ხომ ცხადია? შეიძლება ასეცაა, მაგრამ არაერთი, მათ შორის, ჩემზე უფრო გამოცდილი მეგობარი და კოლეგა დავკარგე, რომლებმაც ეს დაივიწყეს და არასწორ დროს, არასწორ ადგილას ზედმეტად შორს წავიდნენ, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

ასე, რომ, ყოველთვის გახსოვდეთ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. ასევე, არასდროს დაივიწყოთ პასუხისმგებლობა პროფესიისა და იმ ადამიანების მიმართ, ვის ამბებსაც აშუქებთ – არასწორ ხელში ჩავარდნილი ინფორმაცია შეიძლება დამლუპველი აღმოჩნდეს. ამ სახელმძღვანელოში მოცემულია ძირითადი ინსტრუქციები, რომლებიც სამუშაოს კარგად და მაქსიმალურად უსაფრთხოდ შესრულებაში დაგეხმარებათ. თქვენი საქმიანობა სჭირდება საზოგადოებას და იმ ფასეულობების შენარჩუნებას, რომლებიც ყველას ასე გვეძვირფასება. წარმატებებს გისურვებთ.

**მარკ ლეიტი, BBC-ის სამხედრო კორესპონდენტი, ამ სახელმძღვანელოს მთავარი რედაქტორი**

## **თავი 1: როგორ შევინარჩუნოთ მედეგობა მონინააღმდგვის მიერ შექმნილი დეზინფორმაციული ქარიშხლის პირობებში**

ავტორი: ერაკლე შუბითიძე

### **► ინფორმაციის როლი თანამედროვე კონფლიქტებში**

ჩვენ საინფორმაციო ეპოქაში ვცხოვრობთ. ინტერნეტმა და სოციალურმა მედიამ ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გაცვლა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აქცია. იმავდროულად, მსოფლიოს არაერთი დემოკრატიული სახელმწიფო ჯერ ისევ დამოკიდებულია ადამიანის მიერ გადამყვებილების მიღების პროცესზე. მაშასადამე, სანდო თუ დაუსაბუთებელ ინფორმაციას გადამწყვეტი გავლენა აქვს არამხოლოდ ცალკეული ადამიანების, არამედ, ზოგადად, ქვეყნებისა და საზოგადოებების კეთილდღეობაზე.

მეოცე საუკუნეში ელექტრონული კომუნიკაციების დახვეწამ ჟურნალისტების, საზოგადო მოღვაწეებისა და პოლიტიკოსების გარკვეულ რაოდენობას მილიონობით ადამიანთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალება მისცა. ეს რამდენიმე პრივილეგირებული პროფესიონალი მდიდარმა ორგანიზაციებმა დაიქირავეს, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა მათი აუდიტორია და, შედეგად, მედიაგარემოზე გავლენაც.

სოციალურმა მედიამ განაპირობა ინფორმაციის დემოკრატიზაცია, რადგან მისი პლატფორმები თითოეულ ინდივიდს გაცილებით დიდ აუდიტორიაზე წვდომის საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად ნაკლები ზედამხედველობის პირობებში. ტრადიციულმა მედიამ დაკარგა წამყვანი პოზიცია საინფორმაციო გარემოში და დღეს სმარტფონისა და ინტერნეტკავშირის მქონე ადამიანს ჩვეულებრივ შეუძლია გააშუქოს ნებისმიერი მოვლენა, კრიზისი თუ ომი. საინფორმაციო გარემო ახლა ყველასთვის ხელმისაწვდომი და თავისუფალია, რაც, ინტერნეტისა და სოციალური მედიის მეშვეობით უზრუნველყოფილ ანონიმურობასთან ერთად, ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის მავნე აქტორებს, რომლებიც ცდილობენ მასის შეხედულებებსა და ქცევებზე ზემოქმედებას და დამატარებელი უარყოფის საფარველქვეშ მოქმედებას.

ანონიმურობა სხვადასხვა აქტორს კონფლიქტამდე, კონფლიქტის მსვლელობისას თუ მის შემდეგ ინფორმაციის იარაღად ქცევის, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო აუდიტორიაზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურ სივრცეში კონფლიქტს დასაწყისი და დასასრული აქვს, საინფორმაციო გარემოში კონფლიქტი უწყვეტად მიმდინარეობს. ინფორმაციული ზემოქმედებისათვის განკუთვნილი აქტივობების, მაგალითად, დეზინფორმაციული კამპანიების მიზანი სხვადასხვაგვარია, თუმცა, ხშირად ასეთი მეთოდები გამოიყენება ოპონენტების საშინაო და საერთაშორისო კავშირების

დაზიანებისა და სამიზნე ჯგუფების სამხედრო-პოლიტიკური ნების შესუსტების მიზნით. ამგვარი მოქმედებებით მეტოქე ცდილობს, დააზარალოს სახელმწიფოები თუ საერთაშორისო ალიანსები და მოიგოს კონფლიქტი ჯერ კიდევ მის წამოწყებამდე. ამგვარი აქტივობების უგულვებელყოფისა და შეუსწავლელობის შემთხვევაში ჟურნალისტები, ექსპერტები და პოლიტიკოსები შეიძლება მტრის უნებლიე თანამზრახველებად იქცნენ და ხელი შეუწყონ მიზნის მიღწევაში.

რუსეთის მსგავს აქტორებს, მათ მიმართ საყოველთაო უნდობლობის გამო, უჭირთ ქართულ თუ დასავლურ საინფორმაციო სივრცეში ღიად მოქმედება და თავის დამკვიდრება. მეტიც, რუსეთი ვერ აკონტროლებს ვერცერთ პოპულარულ არარუსულ სოციალურ მედიასა თუ საინფორმაციო საშუალებას, რაც ბევრად გაუადვილებდა დასავლურ თუ ქართულ აუდიტორიაზე უწყვეტ წვდომას. შესაბამისად, რუსეთი მეტწილად დამოკიდებულია ანონიმურ და საექვო არხებზე სახელგანთქმული ჟურნალისტების, საზოგადო მოღვაწეებისა და იმ ხალხის შეხედულებებზე ზემოქმედების მიზნით, რომლებსაც ფართო აუდიტორია ჰყავთ, რადგან სწორედ ასეთი ადამიანების საშუალებით ცდილობს რუსეთი საკუთარი ნარატივის გახმაურებას და მისივე საკომუნიკაციო მიზნებისთვის ხელსაყრელი გზავნილების გავრცელება-დამკვიდრებას.

**როგორც ომისა და კრიზისის გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტს, ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ სამიზნე ხართ.**

შეიძლება, სავლელ სამუშაოს შესრულებისას ჟურნალისტი რამდენიმენაირ სამიზნედ იქცეს. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ჟურნალისტი უპირველეს სამიზნეა, რადგან ის სარგებლობს აუდიტორიის მზარდი ნდობით, განსაკუთრებით, როცა კრიზისისა თუ ომის მსგავს ემოციურ ან დაძაბულობით სავსე მოვლენას აშუქებს. ინფორმაცია, რომელსაც სანდო ჟურნალისტი აწვდის აუდიტორიას, დიდი ალბათობით, სიმართლედ აღიქმება. ამრიგად, მოწინააღმდეგე აქტიურად ეცდება, ისეთი რამ გათქმევინოთ, რაც მის საკომუნიკაციო ამოცანებს ემსახურება. ზეგავლენის მეთოდები მოიცავს ანონიმური რჩევების, სკანდალური და დამაინტრიგებელი ექსკლუზივების, ქორების, ნახევარ-სიმართლეთების მოწოდებას. მტერი ეცდება, ყველაზე ხელსაყრელი გარემოება მოძებნოს, რომ სასურველი ინფორმაცია შემოგაპაროთ. ასეთი გარემოება ხშირად იქმნება მნიშვნელოვანი ან ემოციური მოვლენების დროს, მაშინ, როცა ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება იგვიანებს. ამგვარ შემთხვევებში მტერმა შეიძლება სცადოს სასურველი ინფორმაციის ჟურნალისტებისათვის მიწოდება ანონიმური რჩევების, გაყალბებული დოკუმენტების ან არასანდო თვითმხილველების ანგარიშის სახით. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტს კარგად ესმოდეს, რა ღირებულება შეიძლება ჰქონდეს ამგვარ ინფორმაციას მტრისათვის და კრიტიკულად შეაფასოს მიწოდებული ცნობები.

მტრის მიერ ჟურნალისტების წინააღმდეგ მოქმედების მეორე ფორმა უფრო ფიზიკურია. გამომდინარე იქიდან, რომ ჟურნალისტები ხშირად იკრიბებიან მნიშვნელოვან ფიგურებთან ინტერვიუს ჩაწერის დროს, მტრის დაზვერვამ

შეიძლება მოძებნოს ჟურნალისტური თავშეყრის წერტილები და ეცადოს ღირებული სამიზნეების გამოკვეთას. თუ მეტოქის დაზვერვა დაინახავს ჟურნალისტების დიდ ჯგუფს, რომლებიც ველზე ერთად მუშაობენ, თავად აქტივობის მიზეზს ვერ გამოარკვევს, თუმცა, ღირებული სამიზნის პოტენციურ არსებობას დაადგენს. ამრიგად, ყოველთვის გაითვალისწინეთ თქვენი ადგილმდებარეობა საველე მუშაობისას და ერიდეთ დიდ შეკრებებს.

მტრის მიერ ჟურნალისტის სამიზნედ გამორჩევის მესამე ფორმა აქტუალურია როგორც კონვენციური, ისე არაკონვენციური კონფლიქტის პირობებში. ზოგიერთი სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორი ცდილობს ტერორის საშუალებით პანიკის დათესვას. შესაბამისად, ჟურნალისტები და მშვიდობიანი მოსახლეობა შეიძლება რამდენიმე აქტორის სამიზნედ იქცეს, რომლებიც ცდილობენ მათთვის ზიანის მიყენებას და ამ გზით შიშის დათესვას. მაშასადამე, კარგად უნდა შეფასდეს და გაანალიზდეს კონფლიქტის ზონაში სამხედრო რეპორტიორად თუ თავისუფალ კონტრაქტორად მუშაობის არჩევანი, რადგან ამ საქმიანობას საფრთხე და პასუხისმგებლობები ახლავს. ხშირად ეს პროფესია მეტისმეტად სახიფათოა.

### ▶ **მტრის მიერ ინფორმაციული ზემოქმედებისათვის განკუთვნილი აქტივობების მიზნები**

ინფორმაციული ზემოქმედებისათვის განკუთვნილი აქტივობების სიხშირე განსაკუთრებით იზრდება კრიზისსა და პირდაპირი შეიარაღებული კონფრონტაციის დროს. ასეთ შემთხვევებში, სპეციფიკური მიზნების მისაღწევად, მტრის მიერ კონტროლირებული, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის განკუთვნილი ოპერაციების შემსრულებელი ერთეულები იწყებენ სასურველ აუდიტორიაზე მორგებული ინფორმაციის აქტიურად გავრცელებას. პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციის დროს შესაბამის ერთეულებს შესაძლოა დაეკისროთ შემდეგი ამოცანები:

- შიშის, უიმედობისა და გაურკვევლობის დათესვა მოსახლეობაში;
- მთავრობასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის უნდობლობის გაღრმავება;
- ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და მოსახლეობას შორის უნდობლობის გაღვივება;
- მოსახლეობის ნებისყოფისა და საბრძოლო სულისკვეთების დაქვეითება;
- სამიზნე ქვეყნის სამხედრო ძალის დისკრედიტაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით;
- სამიზნე ქვეყნის პარტრიორების დისკრედიტირება და ამავდროულად, აგრესორთან საერთო მტრის წარმოჩენა (ტერორიზმი, ა.შ.);



- სამიზნე ქვეყნის მიერ არჩეული საგარეო კურსის დისკრედიტირება;
- აქცენტის გაკეთება აგრესორის და სამიზნე ქვეყნის საერთო სარწმუნოებაზე, ტრადიციულ ღირებულებებსა და საერთო წარმატებულ ისტორიულ წარსულზე.

ამ ამოცანების შესრულება მთერს სამიზნე ქვეყნის საინფორმაციო გარემოზე გაბატონებასა და სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების მიღწევაში შეუწყობს ხელს. როგორც წესი, ასეთ აქტორს (განსაკუთრებით, რუსეთს) საინფორმაციო აქტივობებისათვის დიდალი ფინანსური და ადამიანური რესურსი აქვს გამოყოფილი. როგორც სამთავრობო სტრუქტურების, ისე კერძო ერთეულების დაქვემდებარებაში ბოტების ათობით ფერმაა, რომლებიც ზოგჯერ დამოუკიდებლად, ზოგჯერ კი ერთობლივად მუშაობენ სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი მიზნების შესრულებაზე. შედეგად, რუსულ საინფორმაციო აქტივობას ოთხი გამოკვეთილი თვისება აქვს<sup>1</sup>:

- ინფორმაციის დიდი მოცულობა და მრავალი არხის გამოყენება;
- სისწრაფე, უწყვეტობა და განმეორებადობა;
- მეტწილად აცდენილია ობიექტურ რეალობას;
- მეტწილად არათანმიმდევრულია.

ერთი სიტყვით, კრიზისისა თუ კონფლიქტის დროს ისეთი აქტორები, როგორც რუსეთია, ინფორმაციის დიდ მოცულობას ქმნიან და მრავალი სხვადასხვა არხის საშუალებით ავრცელებენ, სადაც გროვდება როგორც ურთიერთსაინააღმდეგო, ისე იდენტური შინაარსის (განმეორებითი) ინფორმაცია და იქმნება დეზინფორმაციული ქარიშხალი.

## ▶ როგორ უნდა დაიცვათ თავი ზემოქმედებისაგან?

ინფორმაციული ზემოქმედების მიზნით განხორციელებული აქტივობებისადმი მედეგობის გაზრდის პროცესში უმნიშვნელოვანესია მოწინააღმდეგის მეთოდებისა და განზრახვის ცოდნა. დეზინფორმაცია ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად გვექცა. ეს დროებითი გამონვევა არ არის. **დეზინფორმაცია მუდმივად იარსებებს**. ამრიგად, ადამიანებმა, განსაკუთრებით, ჟურნალისტებმა, რომლებიც ომისა თუ კრიზისის გაშუქებაზე მუშაობენ, კარგად უნდა გააცნობიერონ ეს პრობლემა და მუდმივად ადევნონ თვალი ველზე მიმდინარე პროცესებს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> რუსული დეზინფორმაციის ხასიათის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი წყარო (ინგლისურ ენაზე): Christopher Paul and Miriam Matthews, The Russian "Firehose of Falsehood" Propaganda Model: Why It Might Work and Options to Counter It (Santa Monica, CA: RAND Corporation, 2016), <https://www.rand.org/pubs/perspectives/PE198.html>. <https://www.rand.org/pubs/perspectives/PE198.html>

<sup>2</sup> საინფორმაციო აქტივობის განხორციელების მეთოდებთან დაკავშირებული დამატებითი წყაროები (ქართულ ენაზე): ერეკლე შუბითიძე; (2021) საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაცია თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე

## თავი 2: „სიზუსტე უმთავრესია. სჯობს გვიან, ვიდრე მცდარად.“

ავტორი: გიორგი მოლოდინი

Reuters News Agency

შეიარაღებული კონფლიქტებისა და სხვა სახის კრიზისების გაშუქებისას აუდიტორია ინფორმაციას განსაკუთრებული ყურადღებით, ემოციურობითა და ინტერესით იღებს და ავრცელებს. ამ პროცესში საგრძნობლად მაღალია მედიაში გაშუქებული გზავნილების სუბიექტური აღქმის ალბათობა, რასაც ლოგიკური ახსნა აქვს და მჭიდროდაა დაკავშირებული ცნებასთან, რომელსაც „კრიზისის ფსიქოლოგია“ ეწოდება.

ემოციურად დაძაბულ ვითარებაში მცირე შეცდომამაც კი შეიძლება გაზარდოს კრიზისის ყველაზე უარესი სცენარების განვითარების ალბათობა. ამრიგად, თანამედროვე ჟურნალისტიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დილემა, რომელსაც დღევანდელი დაჩქარებული საინფორმაციო გარემო უქმნის მედიას – სისწრაფე თუ სანდოობა.

როცა ვსაუბრობთ საინფორმაციო გარემოს დაჩქარების შესახებ, მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ ყოველ დღე იმაზე მეტი ინფორმაცია ქვეყნდება, ვიდრე რომელიმე ცალკეულმა ინდივიდმა შეიძლება დაამუშაოს მთელი ცხოვრების განმავლობაში<sup>3</sup> მაგალითად:



Google-ის ძიებების ყოველდღიური რაოდენობა: 8.5 მილიარდი<sup>4</sup>;



სოციალური მედიის აქტიური მომხმარებლების რაოდენობა: 4.62 მილიარდი<sup>5</sup>;

უფრო მეტიც, სოციალურმა მედიამ გზა გაუხსნა „სამოქალაქო ჟურნალისტიკას“. ახლა სმარტფონის მქონე ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ჰქონდეს ექსკლუზიური სიუჟეტი და ამ სიუჟეტის ნებისმიერ მედიაპლატფორმაზე მყისიერად გავრცელების საშუალება. „პირველობისთვის“ ბრძოლა სანდოობის დასავლურ

<sup>3</sup> სტატისტიკა შევიძლიათ, იხილოთ აქ: How Many People Use Social Media in 2024?" Oberlo, June 2024, <https://www.oberlo.com/statistics/how-many-people-use-social-media>; Josh Howarth, "Alarming Average Screen Time Statistics (2024)," Exploding Topics, June 24, 2024, <https://explodingtopics.com/blog/screen-time-stats>.

<sup>4</sup> Rohit Shewale, "Google Search Statistics 2024 (No. Of Searches Per Day)," DemandSage, January 18, 2024, <https://www.demandsage.com/google-search-statistics/>.



<sup>5</sup> "How Many People Use Social Media in 2024?" Oberlo, June 2024, <https://www.oberlo.com/statistics/how-many-people-use-social-media>.

სტანდარტს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის, რადგან სისწრაფე და სიზუსტე თანამედროვე ჟურნალისტიკის განუყოფელ თვისებად იქცა, თანამედროვე ტექნოლოგია კი უფრო და უფრო ამოკლებს ისედაც მჭიდრო ვადებს.

რა შეგვიძლია ვისწავლოთ საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრებისაგან, რათა ინფორმაცია მაქსიმალურად სწრაფად და ზუსტად გადავცეთ თუნდაც ყველაზე ცხელი წერტილებიდან?

-  „ინფორმაციის სწრაფი გავრცელება თუ სიზუსტე?“ – შეკითხვის ამგვარად ფორმულირება დაუშვებელია, რადგან აქ გადასაწყვეტი არაფერია. თქვენი, როგორც ჟურნალისტის სანდოობა და ინფორმაციის სიზუსტე ყოველთვის უპირატესია<sup>6</sup>;
-  სკეპტიკურად შეხედეთ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ხელთ ჩაგივარდებათ და გადაამოწმეთ წყაროები. გამორიცხული არ არის, რომ დაინტერესებული მხარე(ები) გამიზნულად ეცდებიან, მოგანოდონ დეზინფორმაცია (თქვენი და/ან სხვა სამიზნის დისკრედიტაციის მიზნით);
-  ეცადეთ, უზრუნველყოთ თქვენი წყაროების მაქსიმალური გამჭვირვალობა. მტერი, რომელიც ცდილობს თქვენი ინფორმაციის მიზანმიმართულად გამრუდებას, ასევე აქტიურად გიგდებთ ყურს. წყარო(ებ)ის გამჭვირვალობა ეფექტურად დაგიცავთ მტრის მიერ თქვენი, როგორც სანდო ჟურნალისტის დისკრედიტაციის მცდელობისაგან;
-  კრიზისის გაშუქებისას, უმჯობესია, არ იყოთ დამოკიდებული ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროზე. ეცადეთ, სულ მცირე, ორი წყარო მოიძიოთ, იპოვოთ თვითმხილველები, შეაჯეროთ ინფორმაციის წყაროები სანდოობის გადამოწმების მიზნით. ასევე, ეცადეთ, შეამოწმოთ თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფო უწყების პასუხისმგებელ პირებთან;
-  ეცადეთ, შეინარჩუნოთ კომუნიკაცია რედაქტორებთან და წინასწარ შეუთანხმოთ კრიზისის ადგილიდან ინფორმაციის შემოწმება-გავრცელების პროტოკოლი;
-  გამოიყენეთ თანამედროვე ტექნოლოგია ინფორმაციის გადასამოწმებლად, მაგალითად: გეოლოკაციის დაზუსტების ტექნიკური საშუალებები და სხვ.;

<sup>6</sup> მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ: Reiko Saisho, "Speed vs Accuracy in Time of Crisis," Reuters Institute for the Study of Journalism, University of Oxford, accessed July 17, 2024, <https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/our-research/speed-vs-accuracy-time-crisis>

-  კრიზისის გაშუქებისას, შესაბამის გარემოებებში, შეგიძლიათ გადაამოწმოთ ინფორმაცია თქვენს კოლეგებთან. აუხსენით თქვენი გამოწვევები თუ საჭიროებები და კონკურენციის ნუ შეგეშინდებათ. შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების წინასწარ შეთანხმება რედაქტორებთან ან პროდიუსერებთან, იმის გათვალისწინებით, რომ კოლეგებიც კონკურენტები არიან;
-  თანამედროვე საინფორმაციო ეპოქაში არავინ არის დაცული შეცდომებისაგან. ამრიგად, რეკომენდებულია შეცდომის დაუყოვნებლივ და მაქსიმალურად მკაფიოდ აღიარება აუდიტორიის წინაშე, რათა მსმენელების, მკითხველებისა თუ მაყურებლების ნდობა შეინარჩუნოთ.

რაც შეეხება ანონიმურ წყაროებთან თანამშრომლობას, განსაკუთრებით საგულისხმოა Reuters-ის მიდგომა ანონიმური წყაროებისადმი. მაუწყებლის მიერ შემუშავებულ სტანდარტებში აღნიშნულია, რომ ორგანიზაცია პრიორიტეტს ანიჭებს ღია წყაროებზე დაფუძნებულ ჟურნალისტიკას, თუმცა, გამონაკლისის სახით, მაინც მითითებულია ანონიმური წყაროების გამოყენების წესი. წყარო აცხადებს, რომ Reuters გამოიყენებს ანონიმური წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და აღნიშნული ინფორმაციის სხვა წყაროს არარსებობის შემთხვევაში. თუმცა, სახელმძღვანელო დასძენს: „მხოლოდ თავად ვართ პასუხისმგებელნი ამ ტიპის ინფორმაციის სიზუსტესა და გავრცელებაზე.“<sup>7</sup>

თუ ჟურნალისტი გეგმავს ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნებას, ჟურნალისტი ვალდებულია, მაქსიმალურად უზრუნველყოს წყაროს ანონიმურობის დაცვა. თუმცა, ჟურნალისტი ასევე პასუხისმგებელია ინფორმაციის სიზუსტეზე და მისი ვალია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდოს აუდიტორიას წყაროს შესახებ იმ ფორმითა და მეთოდებით, რომლებიც არ გაამჟღავნებს წყაროს ვინაობას და არც აუდიტორიას გაუჩენს წყაროსადმი უნდობლობის განცდას.

ასევე აღსანიშნავია Reuters-ის სამაუწყებლო სახელმძღვანელოში გაკეთებული ჩანაწერი, რომელიც მიემართება რესპონდენტის ციტატებს და უშუალოდ უკავშირდება სიზუსტის დაცვას რეპორტაჟის მომზადებისას. ციტატები წმინდაა. ისინი არ უნდა შეიცვალოს გარდა იმ შემთხვევისა, როცა ციტატიდან სიტყვის და/ან ფრაზის ამოღება არ ცვლის ამ ციტატის საერთო შინაარსს. ციტატების შერჩევითი გამოყენება განაპირობებს დაუბალანსებელ ჟურნალისტიკას. ჟურნალისტის საქმე არ არის რესპონდენტის ნათქვამის „შელამაზება“ და „რაფინირებული ციტატების“ საშუალებით მისი დახვეწილობის გამოკვეთა. ასევე, ჟურნალისტმა არ უნდა დაამციროს რესპონდენტი არასწორი წარმოთქმის ან უხეირო ნათქვამის გამო. ზოგჯერ ასეთი პრობლემა პერიფრაზით წყდება. ეს ყველაფერი დროს მოითხოვს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს: „სიზუსტე ყოველთვის უმთავრესია. სჯობს გვიან, ვიდრე მცდარად“.

<sup>7</sup> Reuters News Agency. "Reuters Standards and Values." Accessed July 17, 2024. <https://www.reutersagency.com/en/about/standards-values/>.

მედია უშუალოდ და სხვადასხვაგვარად მონაწილეობს კრიზისის განვითარების სცენარებში, რადგან ინფორმაცია განსაზღვრავს აუდიტორიის ქცევას და კრიზისზე რეაგირების ფორმებს. რეკომენდებულია „კრიზისის ფსიქოლოგიის“ ანატომიის გათვალისწინება, რათა მკაფიოდ დავინახოთ კრიზისულ მდგომარეობაში ზუსტი, უტყუარი ინფორმაციის გადმოცემის მნიშვნელობა.

აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) თანახმად, არსებობს კრიზისის დროს ინფორმაციის მიღება-დამუშავების ოთხი ფორმა:<sup>8</sup>

01. ინტენსიური სტრესისა და ინფორმაციის პოტენციური სიჭარბის პირობებში ხალხი მეტწილად უგულებელყოფს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გზავნილების ნიუანსებს. **შესაბამისად, გამოიყენეთ მარტივი გზავნილები;**
02. ხშირად კრიზისის დროს კონკრეტული მოქმედებების შესრულებისაკენ მოწოდებას ადამიანი ალოგიკურად და წინასწარ არსებულ რწმენებთან / ინტუიციასთან შეუთავსებლად აღიქვამს. **ამრიგად, გამოიყენეთ სანდო წყარო ამ გზავნილის მისაწოდებლად;**
03. კრიზისის / ექსტრემალური სიტუაციის დროს, კონკრეტული მოქმედებისაკენ მოწოდება / მოქმედებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ხშირად არასაკმარისია და ადამიანი ცდილობს დამატებითი წყაროებისა და სარწმუნო მტკიცებულებების ძიებას. **შესაბამისად, გამოიყენეთ თანმიმდევრული გზავნილები;**
04. კრიზისის დროს რეაგირების / უკუკავშირის სიჩქარეს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ინფორმაციის ვაკუუმი მტერს საინფორმაციო გარემოში არსებული ნაპრალების ჭორებით, ნახევარსიმართლევებით ამოვსების საშუალებას აძლევს, რომლებიც, როგორც წესი, უპირისპირდება სანდო, რეალურ, სარწმუნო, თუმცა კი დაგვიანებულ რეაგირებას. ამრიგად, კრიზისში მყოფი აუდიტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია პირველწყაროდან მიღებული, სანდო ინფორმაცია. **შესაბამისად, გაავრცელეთ ზუსტი ინფორმაცია პირველივე შესაძლებლობისთანავე.**

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოცემული ინფორმაცია ეხება კრიზისულ ვითარებაში სამთავრობო უწყებების ეფექტურ კომუნიკაციას საზოგადოებასთან, მაინც თვალსაჩინოა მედიის განსაკუთრებული როლი კრიზისის დროს აუდიტორიის მიერ ინფორმაციის მიღება-დამუშავებაში. თუ გავრცელებული ინფორმაცია ადვილი გასაგები, თანმიმდევრული, სანდო და შემოწმებადი არ იქნება, არამხოლოდ პროფესიულ რეპუტაციას რისკავთ, არამედ კრიზისულ გარემოებაში მყოფი ადამიანებისათვის უარესი სცენარების განვითარების უნებლიე თანამზრახველიც ხდებით.

<sup>8</sup> Centers for Disease Control and Prevention. "CERC: Psychology of a Crisis." Last modified 2019. [https://emergency.cdc.gov/cerc/ppt/CERC\\_Psychology\\_of\\_a\\_Crisis.pdf](https://emergency.cdc.gov/cerc/ppt/CERC_Psychology_of_a_Crisis.pdf).

## თავი 3: ჟურნალისტის დაცვის სტანდარტები და მექანიზმები

ავტორი: თამარ ავალიანი

### ► შესავალი

ჟურნალისტების უფლებების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, თუმცა ეს უფლებები, უპირველესად, წარმოდგება არა ჟურნალისტის სპეციალური სტატუსიდან, არამედ მოქალაქის უფლებებიდან. მათ იცავს სხვადასხვა რეზოლუცია, რომლებიც წარმოადგენს ჟურნალისტური საქმიანობის თავისუფლად განხორციელების გარანტს.

ჟურნალისტების დაცვის საერთაშორისო დეკლარაცია აჯამებს იმ ჟურნალისტების დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პრინციპებს, რომლებიც საფრთხისშემცველ გარემოში მიმდინარე მოვლენებსა და ადამიანის უფლებების შელახვის მსხვერპლთა [ამბებს] აშუქებენ. დეკლარაცია ხაზს უსვამს ამ მიმართულებით ჩართული სახელმწიფო უწყებების<sup>9</sup> ვალდებულებას.

გაეროს რეზოლუციები ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია ჟურნალისტების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია #2222 გმობს ჟურნალისტებზე ძალადობას და მათი უფლებების შელახვას. იგი ასევე ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, პატივი სცენ ჟურნალისტებს და ისევე დაიცვან ისინი შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქებისას, როგორც სამოქალაქო პირები. გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს რეზოლუცია ჟურნალისტების უსაფრთხოების დაცვის შესახებ (2012) კრძალავს ჟურნალისტებზე თავდასხმას და სახელმწიფოებს უწესებს ჟურნალისტების უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფის ვალდებულებას. საერთაშორისო ინსტრუმენტები ჟურნალისტებს იცავს როგორც საომარი მოქმედებების ზემოქმედებისაგან, ისე პირობითი ღონისძიებებისაგან, რომლებიც შეიძლება განახორციელოს კონფლიქტის მხარემ ჟურნალისტის ხელში ჩაგდების (დაკავების ან ტყვედ აყვანის) შემთხვევაში.

უფლებებთან ერთად, კრიზისისა და კონფლიქტის გამშუქებელ ჟურნალისტებს გარკვეული ვალდებულებებიც ეკისრებათ. ჟურნალისტი ვალდებულია, კარგად აცნობიერებდეს საკუთარ ზემოქმედებას იმ მოვლენებზე, რომელსაც აშუქებს, ამ მოვლენებში ჩართულ ადამიანებზე, თავისი აუდიტორიის უსაფრთხოებასა და დაცულობაზე. ერთი სიტყვით, ჟურნალისტს უნდა ესმოდეს, რომ მის ყოველ სიტყვასა და მოქმედებას შესაბამისი შედეგები მოჰყვება.

<sup>9</sup> კანონის აღმასრულებელი უწყებები, უსაფრთხოების ძალები, სასამართლო უწყებები

## საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ჟურნალისტების დაცვა

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოიცავს მნიშვნელოვან წესებს, რომლებიც განსაზღვრავს ჟურნალისტის სპეციალურ სტატუსს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში. დაპირისპირების გაშუქებისას ჟურნალისტებს იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

### ჟურნალისტების ორი სტატუსი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქების თვალსაზრისით ჟურნალისტების ორგვარ სტატუსს განარჩევს: „სამხედრო კორესპონდენტები“ და სხვა ჟურნალისტები.

#### ▶ I. „სამხედრო კორესპონდენტები“ და მათი სამართლებრივი დაცვის გარანტიები

##### ვინ არის „სამხედრო კორესპონდენტი?“

„სამხედრო კორესპონდენტი“ აშუქებს შეიარაღებულ კონფლიქტს უშუალოდ კონფლიქტის ზონიდან, აკრედიტებულია ომში ჩართული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ და შეუძლია, არმიასთან ერთად გადაადგილდეს<sup>10</sup> სამხედრო კორესპონდენტს, რომელსაც აკავებენ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქებისას, „სამხედრო ტყვის“ (POW)<sup>11</sup> სტატუსი აქვს და ექვემდებარება დაკავებას კონფლიქტის დასრულებამდე. ფაქტობრივად, მიუხედავად იმისა, რომ კორესპონდენტი მებრძოლი არ არის, ტყვედ ჩავარდნილი სამხედრო პირის უფლებებით, პრივილეგიებითა და სტატუსით სარგებლობს.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო კორესპონდენტის ოფიციალური სტატუსი პრაქტიკაში უფრო და უფრო იშვიათად გამოიყენება და იმ ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებსაც ეს სტატუსი ჟურნალისტს უწესებს, არ შეიძლება მისი მარტივად და დაუფიქრებლად შეთავაზება ან მიღება.

##### სამხედრო კორესპონდენტის სტატუსის უპირატესობები

ომის კორესპონდენტობის ერთ-ერთი უპირატესობაა საბრძოლო ზონაში წასვლის უკეთესი შესაძლებლობა, მოვალეობის უშუალო შესრულებისას მყოფ ხალხთან ურთიერთობა და ფრონტის ხაზიდან ომის დოკუმენტირება. ასევე, მას,

<sup>10</sup> სამხედრო კორესპონდენტის სტატუსი განსაზღვრულია 1949 წლის ჟენევის კონვენციით „სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ“ (მესამე კონვენცია).

<sup>11</sup> სამხედრო ტყვის სტატუსის მქონე ჟურნალისტს იცავს ჟენევის მესამე კონვენცია (1949).

როგორც წესი, პრივილეგირებული წვდომა მოვლენების განვითარების ადგილას სხვებზე ადრე მისვლის საშუალებას აძლევს. ამასთან, „სამხედრო ჟურნალისტებმა“ პოტენციურად მეტი იციან იმ სამხედრო ძალის მოქმედებების შესახებ, რომელსაც მიმაგრებულნი არიან. თუმცა, ასეთი უპირატესობა იმით ბალანსდება, რომ გასაშუქებელ ინფორმაციაზე მეტი შეზღუდვა უწესდებათ.

### **დაკავებული სამხედრო კორესპონდენტის უფლებები**

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაკავებულ სამხედრო კორესპონდენტს ეპყრობიან, როგორც სამხედრო ტყვეს და, ამრიგად, საკმაოდ დიდი უფლებებით სარგებლობს.<sup>12</sup> შესაბამის კონვენციებში განერილია ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვა;
- აკრძალულია სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმით შურისგებითი ქმედების აღსრულება;
- ყველა სამხედრო ტყვის თანაბრად მოპყრობა რასის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ სხვა მახასიათებლების მიუხედავად;
- ადეკვატური საკვებით, თავშესაფრით, ჰიგიენური პირობებითა და სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

### **სამხედრო კორესპონდენტის ვალდებულებები**

უპირველეს ყოვლისა, ჟურნალისტი ვალდებულია, უზრუნველყოს საკუთარი და გარშემომყოფი ადამიანების უსაფრთხოება და დაცულობა. როგორც წესი, სამხედრო კორესპონდენტი ფრონტზე მეგობრული ძალების გარემოცვაში მუშაობს. ჟურნალისტი უნდა აცნობიერებდეს, რომ მისმა მოქმედებამ შეიძლება გავლენა იქონიოს არამხოლოდ პირადად მასზე და მის გუნდზე, არამედ იმ სამხედროებზეც, რომლებთან ერთადაც მუშაობს. ამრიგად, ჟურნალისტმა უნდა შეისწავლოს უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიცაა პირველადი დახმარება, საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოება. ჟურნალისტი, რომელიც „სამხედრო კორესპონდენტად“ მუშაობს, უნდა დარწმუნდეს, რომ იაზრებს საკუთარ უფლებებს და მზადაა, იკისროს ვალდებულებებიც.

<sup>12</sup> ჟენევის მესამე კონვენცია განსაზღვრავს სამხედრო ტყვეების უფლებებს და წარმოადგენს მათი დაცვის გარანტს (მუხლი 13, მუხლი 14).



## სამხედრო ტყვის მოქცევა დაკითხვისას

დაკავებული აკრედიტებული კორესპონდენტი სამხედრო ტყვედ ითვლება. სამხედრო ტყვე ვალდებულია დამკავებელ სახელმწიფოს გაუმხილოს მხოლოდ საკუთარი სახელი და გვარი, რანგი, დაბადების თარიღი. დაკითხვისას დაკავებულ ჟურნალისტს შეიძლება მოსთხოვონ დამატებითი, სენსიტიური მასალის გამჟღავნება. ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტს უფლება აქვს, არ გასცეს სამხედრო ინფორმაცია, მაგალითად, იმ ძალებთან დაკავშირებული დეტალები, რომელთანაც თანამშრომლობს.

## სამხედრო ტყვეების ინტერნირება და ტყვეების უფლებები

გარდა დისციპლინური და სისხლის სამართლის შემთხვევებისა, დაუშვებელია სამხედრო ტყვის საკანში ან დახურულ შენობაში განთავსება. ისინი უნდა მოთავსდნენ სპეციალურ ბანაკში და დაბრუნდნენ სამშობლოში დაპირისპირების დასრულებისთანავე.

## სამხედრო ტყვეების დაცვა „საზოგადოებრივი ცნობისმოყვარეობისაგან“

სამხედრო ტყვეების დაცულობის უზრუნველსაყოფად, დაუშვებელია მათი სურათებისა და პერსონალური მონაცემების გასაჯაროება.

## ▶ II. „სამოქალაქო პირის“ სტატუსის მქონე ჟურნალისტის უფლებები და მათი დაცვის გარანტიები

### ვინ ითვლება სამოქალაქო პირის სტატუსის მქონე ჟურნალისტად?

ჟურნალისტი, რომელიც არ არის აკრედიტებული შეიარაღებული ძალების მიერ და მუშაობს კონფლიქტის ზონაში, სარგებლობს „სამოქალაქო პირის“ სტატუსით.<sup>13</sup> როგორც წესი, კონფლიქტის ზონაში მყოფი ჟურნალისტების უმრავლესობას სწორედ ასეთი სტატუსი აქვს.

### სამოქალაქო პირის სტატუსის მქონე ჟურნალისტების უფლებები

სამოქალაქო პირის სტატუსის მქონე ჟურნალისტი არ უნდა იქცეს თავდასხმის სამიზნედ. აკრძალულია ნებისმიერი ძალადობის აქტი ან ძალადობის მუქარა, რომლის მთავარი მიზანიც „მოქალაქეებში“ შიშის ჩანერგვაა. „სამოქალაქო პირები“ სარგებლობენ მათი სტატუსისათვის შესაფერისი დაცვის უფლებით თუ არ არიან ჩართულნი კონფლიქტში. **სხვა სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ**

<sup>13</sup> „სამოქალაქო პირის“ სტატუსის მქონე ჟურნალისტის უფლებები და უსაფრთხოების გარანტიები განწერილია 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის „დამატებით ოქმში“ (1977) - „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“).

## **ჟურნალისტსა და შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობას სპეციალური სტატუსი არ აქვს, მათ იცავს სამოქალაქო პირისა და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო პრინციპები.**

### **ჟურნალისტის სამოქალაქო სტატუსის უპირატესობები**

სამოქალაქო პირის სტატუსის მქონე ჟურნალისტი და მისი აღჭურვილობა უნდა სარგებლობდეს უმაღლესი დონის იმუნიტეტითა და დაცულობით. ჟურნალისტი დაცულია, როგორც მოქალაქე, ხოლო ტექნიკას, როგორც სამოქალაქო დანიშნულების ობიექტს, იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. მედიასაშუალების კუთვნილი შენობაც სამოქალაქო დანიშნულების ობიექტად ითვლება და სარგებლობს „დამატებით ოქმში“ (1977) განერილი დაცვის პრინციპებით (მუხლი 48).

### **სპეციალური მონმობის მიღების უფლება**

სამოქალაქო პირის სტატუსით მოსარგებლე ჟურნალისტი, რომელიც მუშაობს შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში, უფლებამოსილია მიიღოს სპეციალური მონმობა. ეს მონმობა გაიცემა ჟურნალისტის მოქალაქეობის ქვეყნის ან იმ ქვეყნის მიერ, რომელშიც ჟურნალისტი მუდმივად ცხოვრობს/რომელშიც მდებარეობს მისი დამქირავებელი საინფორმაციო სააგენტო. მონმობა ადასტურებს წარმომადგენლის ჟურნალისტურ სტატუსს.<sup>14</sup>

### **ჟურნალისტის პასუხისმგებლობები<sup>15</sup>**

- ჟურნალისტმა უნდა დაიცვას პროფესიული და ეთიკური სტანდარტები, რათა საზოგადოებას დროული, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია მიანდოს;
- ჟურნალისტმა უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე კონფლიქტური სიტუაციების გაშუქებისას, როცა ობიექტური, ხარისხიანი ჟურნალისტიკა და მოვლენების გაშუქება პროპაგანდისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკვანძო ინსტრუმენტებია.

<sup>14</sup> „დამატებითი ოქმის“ 79-ე მუხლში განერილია ჟურნალისტების დაცვისათვის განკუთვნილი სპეციალური ღონისძიებები და გარანტირებულია ყველა უფლება, რომლებსაც სამოქალაქო პირის სტატუსის მქონე ადამიანს ანიჭებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

<sup>15</sup> ჟურნალისტიკა კონფლიქტისა და აგრესიის პირობებში, პრინციპები და სხვა საერთაშორისო სტანდარტები: Council of Europe, "Compilation of COE Standards Relating to Journalism in Situations of Conflict and Tension," accessed July 17, 2024, <https://rm.coe.int/compilation-of-coe-standards-relating-to-journalism-in-situations-of-c/1680a5b775>.

## **ჟურნალისტების უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები:**

საერთაშორისო მექანიზმები იღებს და განიხილავს ჟურნალისტების ინდივიდუალურ საჩივრებსა და განცხადებებს. ამას გარდა, ჟურნალისტს შეუძლია მოიძიოს იურიდიული დახმარება ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფებისა და ორგანიზაციებისაგან. ჟურნალისტს შეუძლია მიმართოს რამდენიმე ორგანოს მათი უფლებების დაცვისა და აღდგენისათვის. იხ. ქვემოთ.<sup>16</sup>

## **დასკვნა**

საერთაშორისო სამართალი საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრავს ჟურნალისტების უფლებებს, რომლებიც სხვადასხვა სტატუსით აშუქებენ ომს. თითოეულმა ჟურნალისტმა თავადვე უნდა გაანალიზოს ამ ორი სტატუსის დადებითი და უარყოფითი მხარეები შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის გათვალისწინებით. თუმცა, ყველა ჟურნალისტი უნდა აცნობიერებდეს, რომ მიუხედავად ჟურნალისტების უფლებისა, შეუძლებელია, ვივარაუდოთ, რომ მტერი მათ აუცილებლად აღიარებს და დაიცავს. ამრიგად, ყოველ ჟურნალისტს უსაფრთხოდ და პასუხისმგებლობით მოქმედების ინდივიდუალური ვალდებულება ეკისრება.

---

<sup>16</sup> გაეროს ადამიანის უფლებების საბჭო; გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი; გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი; გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი; გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ; გაეროს იძულებით გაუჩინარებულ პირთა დაცვის კომიტეტი; ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო.



## თავი 4: შეიარაღებულ კონფლიქტში სენსიტიური ინფორმაციის გაშუქების ეთიკური სტანდარტები

ავტორი: თამარ ავალიანი

### შესავალი

ემოციურად ისეთი დატვირთული მოვლენების გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტებს, როგორც კონფლიქტი ან ომია, როგორც წესი, უპრეცედენტო ეთიკურ ნიშნებთან გამკლავება უწევთ. ასეთ პირობებში მომუშავე ჟურნალისტი ხშირად იძულებულია, დააბალანსოს სამთავრობო თუ საზოგადოებრივი ინტერესები და ჟურნალისტური პასუხისმგებლობები. ამრიგად, ჟურნალისტის საქმიანობას მნიშვნელოვანი გამოწვევები და რისკები ახლავს, რაც მისგან სიფხიზლესა და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობა ინფორმაციის სამართლიანად და ზუსტად გაშუქებაა.

კონფლიქტ-სენსიტიურობა ნიშნავს კონფლიქტზე და მასში ჩართულ ადამიანებზე საკუთარი ზემოქმედების გაცნობიერებას. კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკა თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ჟურნალისტი აცნობიერებს კონფლიქტსა და მასში ჩართულ ადამიანებზე პროფესიული გავლენის შედეგებს. კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტი დეტალურად აშუქებს, ფოკუსირდება სამართლიან, ზუსტ რეპორტაჟებზე და წინდახედულად მოქმედებს, რათა აირიდოს კონფლიქტში ცეცხლზე ნავთის დასხმა.<sup>17, 18</sup>

### „არ ავნო“ პრინციპის მნიშვნელობა შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქების პროცესში

„არ ავნო“ პრინციპი განსაკუთრებულად სენსიტიური მნიშვნელობისაა შეიარაღებული კონფლიქტების გაშუქების პროცესში. ამ პრინციპს მედიაში სპეციფიკური ფორმები აქვს, რაც განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ომის გაშუქებისას:

→ **ომის გაშუქებისას, მედიამ თავი უნდა შეიკავოს გადაუმონმბებელი ინფორმაციის გავრცელებისაგან.** დაპირისპირების გაშუქებისას ჟურნალისტმა საფრთხეში არ უნდა ჩააგდოს ადამიანების საკვანძო ინტერესები, ჯანმრთელობა და სიცოცხლე;

<sup>17</sup> International Media Support, Conflict-Sensitive Journalism Handbook, 2004, accessed July 17, 2024, <https://www.osce.org/files/f/documents/8/b/254526.pdf>

<sup>18</sup> კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო: International Media Support, Conflict-Sensitive Journalism Handbook, 2004, accessed July 17, 2024, <https://www.mediasupport.org/wp-content/uploads/2012/11/ims-csj-handbook-2004.pdf>

- **მედია უნდა აცნობიერებდეს და სენსიტიურად განიხილავდეს მონ-  
ყვლადი ჯგუფების საკითხს** (იძულებით გადაადგილებული პირები,  
უმცირესობები, ჯარისკაცები და მათი ოჯახები) დაპირისპირების დროს;
  - **მედიაში არ უნდა მოხდეს იმ სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდების  
სტიგმატიზაცია, რომლებზეც უარყოფითად ზემოქმედებს ომი;**
  - **მედია არ უნდა ემსახუროს პროპაგანდას.** ჟურნალისტმა უნდა გააცნო-  
ბიეროს, რომ მისი უპირველესი პროფესიული მოვალეობა საზოგადო-  
ებისა და აუდიტორიისათვის მაქსიმალურად სამართლიანი და ზუსტი  
ინფორმაციის მიწოდებაა.
- ▶ **მოკლული ადამიანების, დაჭრილების, მძევლად აყვანილებისა და  
დაკავებულების შესახებ ინფორმაციის გაშუქება**

სენსიტიური ინფორმაციის გაშუქებისას მნიშვნელოვანია გესმოდეთ, რომ ცნობებს, რომლებსაც ჟურნალისტები საინფორმაციო მიზნებისთვის ავრცე-  
ლებენ, შეიძლება, მეტად მძიმე გავლენა ჰქონდეს კონფლიქტში ჩართულ  
ინდივიდებსა და მათ ახლობლებზე. მაგალითად, ცნობამ, რომ სამშვიდობო  
ოპერაციაში მონაწილე ჯარისკაცი გარდაიცვალა, შეიძლება უარყოფითად  
იმოქმედოს სხვა სამხედროების ახლობლებზე თუ არ დაზუსტდება გარდაც-  
ვლილის სახელი ან არ მიეთითება, რომ გარდაცვლილის ოჯახს უკვე აცნობეს  
მომხდარის თაობაზე. ასეთმა ინფორმაციამ შეიძლება მონაწილეთა ოჯახებში  
შფოთვა და სტრესი გამოიწვიოს. საუბედუროდ, მსგავსი ინციდენტები არა-  
ერთხელ მომხდარა. მაშასადამე, ქვემოთ ჩამოთვლილია რჩევები, რომლებიც  
დაეხმარება ჟურნალისტებს, აირიდონ მსგავსი სიტუაციები.

- ერიდეთ ინფორმაციის გაზიარებას მოკლული, დაჭრილი, დაკავებული ან  
ტყვედ აყვანილი ადამიანების შესახებ, თუ მათი ოჯახებისათვის ჯერ არ  
უცნობებიათ ამის თაობაზე. თუ ოჯახს აცნობეს, გთხოვთ, ეს ინფორმაციაც  
დაურთოთ, რათა სხვა სამხედროების ოჯახებმა შეძლონ ვითარებაში  
გარკვევა;
- საბრძოლო ველზე მსხვერპლის ამსახველი კადრების გასაჯაროება  
მოითხოვს განსაკუთრებულ სენსიტიურობას. მაშინაც კი, თუ გაქვთ  
დადასტურებული ინფორმაცია, რომ გარდაცვლილების ოჯახებს ინფორ-  
მაცია მიეწოდათ, მაიდენტიფიცირებელი გამოსახულებები შეიძლება  
უკიდურესად დამთრგუნველი აღმოჩნდეს. ზოგადად, ერიდეთ მსხვერ-  
პლის მაიდენტიფიცირებელ გამოსახულებებს და მზად იყავით, გადა-  
ავადოთ გასაჯაროება;

- ➔ ინციდენტებისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას, გთხოვთ, ეცადოთ, დაეყრდნოთ მხოლოდ ოფიციალურ ინფორმაციას. თუ ბრძოლის ველიდან თვითმხილველმა მოგანოდათ ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ, მაინც ეცადეთ გადაამოწმოთ ინფორმაცია ოფიციალურ უწყებებთან;
- ➔ კონფლიქტში, ომში ან ინციდენტში ჩართული ადამიანების ფოტო-ვიდეო გადაღებისას, თუ შესაძლებელია, სთხოვეთ სახის ჩვენების ნებართვა. თანხმობის მოპოვება მკაცრად სავალდებულოა კონფლიქტის მონაწილე სამხედროებთან ინტერვიუს ჩაწერისას.
- ➔ დარწმუნდით, რომ ყველა ადამიანი, რომელსაც კონფლიქტის მსვლელობისას ინტერვიუს ართმევთ ან სურათს უღებთ, სრულად იაზრებს მასალის მიზანსა და დანიშნულებას.
- ➔ დარწმუნდით, რომ ომისა თუ კონფლიქტის დროს სამხედრო ნაგებობებში, ჰოსპიტალში ან სხვა შესაბამის ობიექტზე ჟურნალისტის ვიზიტი წინასწარ შეთანხმებულია შესაბამის უწყებებთან და გაცემულია სათანადო ნებართვა.

### **გთხოვთ, ერიდეთ შემდეგი ტიპის ინფორმაციის გამჟღავნებას:**

ქვემოთ მოცემულია სახელმძღვანელო ინსტრუქციები და რჩევები. მათი გამოყენება აგარიდებთ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფით ზემოქმედებას მეგობრულ სამხედრო ძალებზე, ჟურნალისტებსა და კონფლიქტში ჩართული ადამიანების ცხოვრებაზე. ასე რომ, ერიდეთ ინფორმაციის გავრცელებას შემდეგის თაობაზე:

- ➔ იმ საჯარისო დანაყოფების რაოდენობა, რომლებიც სამხედრო კორპუსს ექვემდებარება;
- ➔ მეგობრული ძალების გადაადგილება;
- ➔ სამომავლო ოპერაციები და გეგმები;
- ➔ სამხედრო ძალების განლაგების ადგილები და ბანაკების ფოტოები, სადაც ნაჩვენებია უსაფრთხოების ხარისხი.
- ➔ სპეციფიკური ბრძანებები, ძალის გამოყენების წესები ან მეგობრული ძალების მიერ გამოყენებული ტაქტიკა.

## შეიკავეთ თავი:



აეროდრომებიდან, სახმელეთო თუ საზღვაო ტერიტორიებიდან პირდაპირი რეპორტაჟისაგან, რამაც შეიძლება გაამჟღავნოს სენსიტიური ნერტილები ან მიმდინარე ოპერაციებთან დაკავშირებული დეტალები: მაგ., ფონი, რომელიც აჩვენებს განლაგებას ან დავალების შესასრულებლად აფრენილ საფრენ აპარატს;



სამხედრო ტყვეების ან მებრძოლების მიერ დაკავებული სხვა ადამიანების ფოტოების, ვიდეოების ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დეტალების გასაჯაროებისაგან;



მონინაალმდევის მიერ ქვეყნის სამხედრო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტზე მიყენებული დარტყმების შედეგების გაშუქებისგან, განსაკუთრებით, ვიდეო და ფოტო მასალების გავრცელებისგან.

ეს ინსტრუქციები ზოგადია და მათი ზუსტი გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული. შედეგად, კონფლიქტის გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს საკუთარი მოქმედებების შესაძლო შედეგებს, რომლებიც შეიძლება მეტად მძიმე აღმოჩნდეს. ჟურნალისტმა უნდა შეაფასოს როგორც ინფორმაციის, ისე მასალის კონტექსტი. გაითვალისწინეთ, რომ გადაამონმოთ წყაროები, არ უგულებელყოთ ოფიციალური, განსაკუთრებით, მსხვერპლების შესახებ ცნობების გაშუქებასა და მუშაობის პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები.

## დასკვნა

შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქება ჟურნალისტისთვის დიდი საფრთხის შემცველი ამოცანაა. კონფლიქტ-სენსიტიურობის, თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის გარეშე, ჟურნალისტმა შეიძლება რისკი შეუქმნას არამხოლოდ საკუთარ თავს, არამედ კონფლიქტში მონაწილე სხვა ადამიანებს. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქებისას „არ ავნო“ პრინციპის დაცვა, მოვლენების სამართლიანად და სიზუსტით გაშუქება.



## თავი 5: როგორ შევინარჩუნოთ „უწყვეტი ინტერნეტკავშირი“

ავტორი: ალექსი ახალაია




ამ თავში განხილულია იმ საკომუნიკაციო ინსტრუმენტების სათანადო გამოყენება, რომლებიც შეიძლება დასჭირდეს ჟურნალისტს საომარ ზონაში ყოფნისას, მათ შორის: მობილური, სატელიტური ტელეფონი და პორტატული რადიოგადამცემი. თითოეულს კონკრეტული დანიშნულება და დადებითი თუ უარყოფითი თვისებები აქვს. ამრიგად, რამდენიმე მათგანზე ერთდროული წვდომა მეტად ხელსაყრელია.

თუმცა, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია შემდეგი: თანამედროვე ომი ინარმოება არა „ტრადიციული“, არამედ ელექტროიარაღითაც, რაც მოიცავს რადიოჩამხშობებს, სიგნალის ინტერფერენციასა და სხვ.

ჩამხშობი სისტემები, როგორც წესი, კონკრეტულ სამიზნეს არ გამოარჩევს და მთლიანად ფარავს საკმაოდ დიდ არეალს. მაგალითად, ჩამხშობმა შეიძლება სრულად დაფაროს 50 კილომეტრის დიამეტრის სივრცე. სმარტფონს მუდმივად არ დაგიზიანებთ, მაგრამ კავშირის გარეშე კი დაგტოვებთ მაშინაც კი, თუ ფრონტის ხაზზე არ იმყოფებით.

ჩამხშობი სისტემებისაგან განსხვავებით, მიმართულების განმსაზღვრელები (DF - სისტემა, რომელიც აგნებს რადიოსიგნალის წყაროს ზუსტ ადგილმდებარეობას) სიზუსტით გამოირჩევა. 30-40 კილომეტრის მანძილიდანაც კი შეიძლება კოორდინატების დადგენა მხოლოდ 1-2 მეტრის ცდომილებით. წყაროდ ითვლება თქვენი ტელეფონიც და გაითვალისწინეთ, რომ ეს სისტემები არ განარჩევს სამოქალაქო და სამხედრო სამიზნეებს. საბრძოლო ზონაში მიმდინარე ოპერაციების დროს მეტოქის ტერიტორიიდან მომდინარე ასეთი სიგნალი, როგორც წესი, მუქარად აღიქმება. მაშასადამე, როგორც კი DF-ოპერატორი სიგნალის წყაროს ფიზიკურ კოორდინატებს იპოვის, ნაკლებსავარაუდოა, რომ დამატებით ანალიზს ჩაატარებს – სიგნალის წყაროს პირდაპირ ესვრიან და გაანადგურებენ. ამრიგად, საბრძოლო ოპერაციების არეალში ელექტროკომუნიკაციის წარმართვისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე.

კომუნიკაციის საშუალებების რაგვარობის მიხედვით, კოორდინატების დადგენა შესაძლებელია შემდეგი მანძილებიდან (დიაპაზონი სხვაობს სისტემის მიმდებარე რელიეფის მიხედვით):

-  ულტრა მოკლეტალღური რადიოსადგურები (ე. წ. ხელის რადიოები, მობილური ტელეფონები – 2-5 კილომეტრი).
-  მოკლეტალღური რადიოსადგურები – 5-30 კილომეტრი.
-  სატელიტური ტელეფონი, ინტერნეტტერმინალი – 30-50 კილომეტრი.



იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ ეს საკითხი, მოდით, მოკლედ მიმოვიხილოთ კომუნიკაციის გავრცელებული საშუალებები – მათი დადებითი და უარყოფითი თვისებები, შეზღუდვები და თითოეული მათგანის გამოყენების სპეციფიკა.

**მობილური ტელეფონი**<sup>19</sup> – კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია არამხოლოდ კავშირის დამყარება, არამედ აუდიოვიზუალური ინფორმაციის გადაცემა (ვიდეო, ტექსტები). უარყოფითი მხარეები მოიცავს, პირველ რიგში, გარე ფაქტორებისადმი დაბალ წინაღობას, როგორცაა, მაგალითად, სიგნალის ჩახშობა და მოსასმენი მოწყობილობები. ასევე, მობილური ტელეფონი ვერ მუშაობს საბაზო სადგურების („ანძების“) გარეშე და ნებისმიერ სამხედრო კონფლიქტში, დაპირისპირებული მხარეები, უპირველესად, ცდილობენ, დააზიანონ კომუნიკაციის ამგვარი ინფრასტრუქტურა.



მობილური ტელეფონისაგან განსხვავებით, სატელიტური ტელეფონი საბაზო სადგურების გარეშე ფუნქციონირებს; შედარებით რთულია მისი სიგნალის ჩახშობა და მოსმენა. თუმცა, ასეთ ტელეფონს აქვს სხვა უარყოფითი თვისებები – სიძვირე, რაც უკავშირდება არამხოლოდ თვითონ მოწყობილობის შეძენას, არამედ მომსახურების გამომწერისა და გამოყენების გადასახადს. ასევე, სატელიტური ტელეფონების უმრავლესობა ფიზიკურად საკმაოდ დიდია და, ხშირად, დაყენება-დაკავშირებას დრო სჭირდება.



**სატელიტური ინტერნეტი**<sup>20</sup> კომუნიკაციის არაჩვეულებრივი საშუალებაა, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია ინტერნეტზე წვდომა (და, მაშასადამე, აუდიოვიზუალური კავშირის დამყარება) მსოფლიოს პრაქტიკულად ნებისმიერ წერტილში (კონკრეტული რეგიონის დაფარვა, სიჩქარე და ფასები დამოკიდებულია ოპერატორზე). საქართველოში, ფასისა და სიჩქარის გათვალისწინებით, ოპტიმალურია „სტარლინკის“ გამოყენება.

<sup>19</sup> სატელიტური ტელეფონი [გამოსახულების წყარო](#)

<sup>20</sup> სატელიტური ინტერნეტი [გამოსახულების წყარო](#)

სატელიტური ტელეფონების მსგავსად, მათაც აქვთ ნაკლი – ტერმინალი ძვირია, შედარებით დიდია და ამუშავებას დრო სჭირდება – 15 წუთიდან რამდენიმე საათამდე; ასევე, საჭიროა კონტრაქტის წინასწარ გაფორმება, გამოყენების გადასახადის გადახდა და ა. შ.

## გაფრთხილება.



სატელიტური ინტერნეტის ტერმინალს კარგად ხედავს ელექტრო-მონწყობილობების უმრავლესობა და, შესაბამისად, მონინალმდგვის სარაკეტო და საარტილერიო ჭურვების პრიორიტეტულ სამიზნეა. თუ ამ ტერმინალს იყენებთ, არავინ და ვერავინ გამოარჩევს, ჟურნალისტი ხართ თუ სამხედრო დრონის ოპერატორი. **თანამედროვე გექნიკუხი საშუალებები სტაბილუხად იძლევა სატელიტუხი ინტერნეტის გექმინალის გამოვლენა-განაღვუხების საშუალებას დაახლოებით 30-40 კმ-ის მანძილიდან. ასე ხომ, ხოცა ფხონტან უფხო ახლოს ხაით, კომუნიკაციის ამ ფოქმის გამოყენება მეგად სახისკოა. ამიგად, უსაფხოხოების მიზნებიდან გამომდინახე, უქუნაღისტისათვის სატელიტუხი ინტერნეტით სახგებლობა შეზღუდულია.**

**ულტრა მოკლეთალღური რადიო, ე. წ. „უოქი-თოქი“<sup>21</sup>** კარგად მუშაობს მოკლეთალღის დისტანციანზე (რამდენიმე კილომეთრზე), არ მოითხოვს საბაზო სადგურს, პატარა და იაფია. მისი უარყოფითი მხარეებია: მოკლეთალღის დიაპაზონი, მომხმარებლებს შორის ხედვის პირდაპირი არეალი (მაშასადამე, ცუდად ფუნქციონირებს მთაგორიან ტერიტორიანზე და ღრმა ხეობებში), ასევე, მოსმენისა და დახშობის სიმარტივეს. „უოქი-თოქი“, რა თქმა უნდა, ვერ გაგზავნის გამოსახულებებს და ა. შ.



**მოკლეთალღური რადიოსადგური<sup>22</sup>** განსხვავდება ულტრა მოკლეთალღურისაგან ოპერირების გაზრდილი რადიუსით (10-200 კმ; ზუსტი სიდიდე დამოკიდებულია მოდელსა და ანტენანზე); გაუმჯობესებულია ინტერფერენციისა და მოსმენისადმი მდგრადობაც. უარყოფითი მხარეებია ზომა და ფასი.

<sup>21</sup> ულტრამოკლეთალღური რადიოგადამცემი [გამოსახულების წყარო](#)

<sup>22</sup> მოკლეთალღური რადიოსადგური [გამოსახულების წყარო](#)

ზემოთქმულის გათვალისწინებით, გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას:

- თუ შესაძლებელია, [გონივრულია] სხვადასხვა ოპერატორის SIM-ბარათის მქონე რამდენიმე მობილური ტელეფონის წაღება, რადგან ერთსა და იმავე ადგილას სხვადასხვა ოპერატორი შეიძლება სხვადასხვანაირად მუშაობდეს. კარგი იქნება, თუ მობილური ტელეფონებიდან ერთ-ერთი მაინც ტრადიციული, ლილაკებიანი ტელეფონი იქნება, რადგან მათი დაცულობა უფრო მაღალია, ვიდრე სმარტფონებისა.
- შეიძლება, ისედაც ცხადია, მაგრამ ელემენტის დაზოგვის მიზნით გამორთეთ ტელეფონები, რომლებსაც არ იყენებთ ან თუ იცით, რომ რაღაც დროის განმავლობაში თქვენთან დაკავშირება შეუძლებელი იქნება. ოპტიმალურია ტელეფონიდან ელემენტის მთლიანად ამოღება. ასევე, სასარგებლოა, სულ მცირე, ერთი წყალგამძლე ტელეფონის წაღება. დარწმუნდით, რომ წყალგამძლე ჩასადებები („ქეისები“) გაქვთ, რომელთაც დღესდღეობით ადვილად იშოვით.
- კიდევ ერთხელ, შეიძლება ისედაც ნათელი ჩანდეს, მაგრამ გამოცდილება სხვაგვარად მოწმობს – თან იქონიეთ რამდენიმე „პორტატიული დამტენი“, რადგან მონაცემების შთამნთქმელი თანამედროვე ტელეფონები დიდ ენერჯიას მოიხმარს. ასევე, ხელიდან არ გაუშვათ დატენის შესაძლებლობა.
- თუ სიგნალის დაჭერა გიჭირთ, იმოძრავეთ – განსაკუთრებით, შემადღებული ადგილებისაკენ, სადაც რელიეფი ნაკლებ დაბრკოლებას ქმნის.
- ტემპერატურამ შეიძლება პრობლემები შექმნას. ნულ გრადუსზე ელემენტის შესაძლებლობები მეათედამდე მცირდება. ამრიგად, მოარიდეთ ელემენტი და ელემენტზე მომუშავე მოწყობილობები სიცივეს, მაგალითად, შეინახეთ შიდა ჯიბეებში. მეორე მხრივ, სიცხე ელემენტის მუშაობაზე არ ზემოქმედებს, თუმცა, შეიძლება ძალიან საშიში იყოს მისი გამოყენება ძლიერი სიცხის პირობებში. ამიტომ, ნუ დატოვებთ ელემენტს დიდხანს მზის გულზე ან მზეში მდგარ მანქანაში.
- თუ ავტომობილს თქვენი დამქირავებელი უზრუნველყოფს, კარგი იქნება, მოკლეთალღური რადიოგადამცემის დაყენება. ამგვარად შესაძლებელი იქნება 20-30 კილომეტრის ან უფრო მეტი მანძილით დაშორებულ მანქანასთან დაკავშირება და გზავნილების გადაცემა თუ ისეთ ტერიტორიაზე იმყოფებით, სადაც მობილური ტელეფონის სიგნალებს დაბრკოლებები ექმნება.

საქართველოს მთიანი რელიეფის გამო, არ არის რეკომენდებული ულტრამოკლეტალური რადიოსადგურების გამოყენება საბრძოლო არეალის სიახლოვეს როგორც პრაქტიკული (დიდი ალბათობით ჩახშული იქნება), ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით. ულტრამალაი სიხშირის რადიოსადგურების მიკვლევა საკმაოდ ადვილია და შეიძლება, სამიზნედ იქცეთ.

მაშასადამე, თუ დაგეგმილია საბრძოლო ზონასთან მისვლა ან მიახლოება, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოთ მოცემული და ყველაფერი გადაამოწმოთ, დარწმუნდეთ, რომ აღჭურვილობა ფუნქციონირებს, გაქვთ რეზერვი და დამტენები. ასევე, დაფიქრდით უსაფრთხოებაზე. ყოველთვის გჭირდებათ თუ არა ტელეფონი, შეიძლება თუ არა მოიცადოთ? არასდროს დაივიწყოთ, რომ როცა თქვენი ტელეფონი ჩართულია, მეორე მხარეს შეუძლია მოგაგნოთ. ასევე, ამ უწყვეტი კავშირების ეპოქაში, მენტალურად მზად იყავით კავშირის წყვეტის შემთხვევებისათვის. იყო დრო, რომ ჟურნალისტები ახერხებდნენ მუშაობას 24/7-ზე კავშირის არარსებობის პირობებში და არც თქვენ გაგიჭირდებათ. გარკვეულ მომენტებში ასე უფრო დაცულიც იქნებით.




## თავი 6: პირადი უსაფრთხოება და პირველადი დახმარების კომპლექტი

ავტორი: არჩილ მარშანი

ამ თავში მოცემული პირველადი დახმარების ღონისძიებების აღწერილობა ბაზისურია და არ ანაცვლებს უსაფრთხოებასა და გადაუდებელ დახმარებასთან დაკავშირებული ტრენინგის საჭიროებას. უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანი არცერთი სამუშაო არ არის და, შესაბამისად, ნებისმიერ სარისკო ზონაში გამგზავრებამდე ჟურნალისტმა უნდა გაიაროს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტრენინგი, რაც მოიცავს: პირველადი გადაუდებელი დახმარების შესწავლას (ბაზისური ან დახვეწილი), არაუსაფრთხო გარემოს შესახებ ცნობიერების ამაღლების ტრენინგს (HEAT), არაუსაფრთხო გარემოში პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგს (HEFAT) და ა. შ. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადაიდგას სახელმძღვანელოში მითითებული ინსტრუქციების შესაბამისად.

ყველა ასეთი ტრენინგი ჟურნალისტებს ეხმარება, შეიტანონ გარკვეული ცვლილებები მომზადების პროცესში (მაგალითად, ატარონ პირველადი დახმარების ნაკრები), რაც, საერთო ჯამში, აამაღლებს უსაფრთხოების შესახებ ცნობიერებას.

### ▶ გადარჩენის ჯაჭვი



|   |  |              |   |                                     |                 |
|---|--|--------------|---|-------------------------------------|-----------------|
| გადაუდებელ სიტუაციაზე რეაგირების სისტემის გააქტიურება | გალა-ხარისხიანი გფრ (გულ-ფილტვის რეანიმაცია) | დეფიბრილაცია | პროფესიონალური (სამედიცინო პერსონალის მიერ ჩატარებული) რეანიმაცია | გულის გაჩერების შემდგომი მკურნალობა | გამოჯანმრთელობა |
|---|--|--------------|---|-------------------------------------|-----------------|

საავადმყოფოს გარეთ გადარჩენის ჯაჭვის 6 ნაბიჯი გულისხმობს: (1) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების განსაზღვრა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გადაუდებელ სიტუაციაზე რეაგირების სისტემის გააქტიურება, (2) კარდიოპულმონარული (გულ-ფილტვის) რეანიმაცია (გფრ), (3) დეფიბრილაცია (თუ შესაძლებელია), (4) კვალიფიციური სამედიცინო დახმარება (5) გულის გაჩერების შემდგომი მკურნალობა (6) გამოჯანმრთელება.

► **DRCAB**



DRCAB წარმოადგენს ნებისმიერ იმ სიტუაციაში მისაღები ზომების სწორ თანმიმდევრობას, რომელშიც იმყოფება დაშავებული და საჭიროა დახმარება:

- 01. D** – საფრთხე (DANGER) – უსაფრთხოება უპირველესი პრიორიტეტია. დარწმუნდით, რომ საფრთხეში არ ხართ და გარემოც უსაფრთხოა. მსხვერპლთან მიახლოებამდე ყოველთვის გადაამოწმეთ მიმდებარე არეალის უსაფრთხოება და დარწმუნდით, რომ თქვენ ან მსხვერპლს არაფერი გემუქრებათ. ყველა ტერიტორიას რისკსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი ღონისძიებები და გეგმები ექნება, თუმცა, სადაც არ უნდა მიდიოდეთ, თავდაცვისათვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა პირველადი დახმარების ნაკრების წაღება და, დანიშნულების ადგილის მიღწევისას, ადგილობრივი უწყებების მიერ ამოცანისა და კონკრეტული ტერიტორიის შესაბამისი რისკის ანალიზის განხორციელება.
- 02. R** – ცნობიერების დონე (RESPONSE) – შეამოწმეთ, დაშავებულის ცნობიერება და სუნთქვის ხარისხი. დაიყვირეთ, რომ დახმარებას მოუხმოთ და, სადაც შესაძლებელია, მოითხოვეთ ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორი (AED);
- 03. C** – კომპრესია (COMPRESSIONS) – თუ დაშავებული უგონო მდგომარეობაშია და ვერ სუნთქავს, დაიწყეთ კარდიოპულმონარული რეანიმაციის ჩატარება 30 : 2 თანაფარდობით (30 კომპრესია 2 სუნთქვა);
- 04. A** – სასუნთქი გზები (AIRWAY) - გულმკერდზე 30 დანოლის შემდგომ, უნდა გაიხსნას სასუნთქი გზები თავის უკან გადაწევისა და ნიკაპის აწევის მეშვეობით;
- 05. B** – სუნთქვა (BREATHING) - თუ შესაბამისი წვრთნა გავლილი გაქვთ, ჩაატარეთ ხელოვნური სუნთქვა: დაშავებულს ცხვირზე მოუჭერთ ხელს და მჭიდროდ ადებთ პირზე პირს, შემდეგ ორჯერ ჩასუნთქავთ ჰაერს პირში. თითოეული ჩასუნთქვის ხანგრძლივობა დაახლოებით ერთი წამია.

## ▶ CPR – კარდიოპულმონარული (გულ-ფილტვის) რეანიმაცია

გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისას კარდიოპულმონარული რეანიმაცია წარმოადგენს ტვინის ფუნქციისა და სისხლის მიმოქცევის არაავტომატური საშუალებით შენარჩუნების პროცედურას, რომელსაც შეუძლია სიცოცხლის გადარჩენა სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე. დაშავებულს, რომელიც უგონო მდგომარეობაშია და ვერ სუნთქავს, კარდიოპულმონარული რეანიმაცია უნდა ჩაუტარდეს პირველივე შესაძლებლობისთანავე. პროცედურის მთავარი ამოცანაა გულსა და ტვინში ჟანგბადის შემცველი სისხლის მიმოქცევის ნაწილობრივი აღდგენა.







მიუხედავად იმისა, რომ კარდიოპულმონარული რეანიმაცია შედგება გულმკერდზე დანოლისა და პირით პირში სუნთქვის პროცედურებისაგან, შესაძლებელია გფრ-ის მხოლოდ გულმკერდზე დანოლით (ხელებით) შესრულება, თუ დახმარების აღმომჩენ პირს არ აქვს გავლილი პირველადი დახმარების ტრენინგი; ასეთ შემთხვევაში, დაანექით ძლიერად (ისე, რომ მკერდი სულ მცირე 5 სმ-ით ჩაიზნიქოს) და სწრაფად (100-120/წთ) გულმკერდის ცენტრალურ ნაწილში. ზეწოლებს შორის გულმკერდმა უნდა მოასწროს საწყისი მოცულობის აღდგენა. შეამცირეთ კომპრესიებს შორის ინტერვალი და შეცვალეთ ზეწოლის განმახორციელებელი პირი ყოველ 2 წუთში ერთხელ, თუ გადაიღლება.

## სისხლდენა

სისხლდენა წარმოადგენს სისხლის კარგვას სისხლის მიმოქცევის სისტემიდან. მკურნალობისას მწვავე სისხლდენა უპირველესი პრიორიტეტია. სისხლდენის მიზეზი სხვადასხვაგვარია, დანყებული მცირე ქრილობებით, კანის ზედაპირის დაზიანების, ღრმა ქრილობებისა და ამპუტაციის ჩათვლით.<sup>23</sup>

მწვავე გარეგანი და შინაგანი სისხლდენისას პირველად დახმარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისხლის დანაკარგის შემცირებისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოსვლამდე. პირველადი დახმარებისას გარე სისხლდენის მართვისათვის საჭირო ღონისძიებები მოიცავს ქრილობაზე პირდაპირ ზეწოლას და ზეწოლის შენარჩუნებას საფენებისა და სახვევების მეშვეობით.

<sup>23</sup> პირველადი დახმარების ამსახველი ვიზუალური გამოსახულებების წყარო

|   |   |
|---|---|
| <p><b>1</b></p>    | <p><b>2</b></p>   |
| <p>მოათავსეთ ტურნიკეტი სისხლდენის წერტილის სიახლოვეს. კიდურს შემოახვიეთ ღვედი და გაუყარეთ წვერი ბალთაში. მოჭიმეთ ღვედი.</p>   | <p>გაუყარეთ ღვედის წვერი ბალთის გარე ჭრილში. მოსაჭიში ბალთა ღვედს უძრავად დააფიქსირებს.</p>   |
| <p><b>3</b></p>    | <p><b>4</b></p>   |
| <p>ღვედი კარგად დაჭიმეთ და მჭიდროდ დაამაგრეთ ღვედის შესაბამის ნაწილზე.</p>  | <p>დაატრიალეთ ბერკეტი, <b>სანამ ღია ფერის ნიჟარის სისხლის დინება არ შეწყდება და დისტალური პულსი არ გაჩერდება.</b></p>   |
| <p><b>5</b></p>   | <p><b>6</b></p>    |
| <p>ბერკეტი ჩასვით ჩამკეტში და დააფიქსირეთ. <b>შეამოწმეთ სისხლდენა და დისტალური პულსი.</b> თუ სისხლდენა ვერ კონტროლდება, შესაძლებელია უფრო ძლიერად მოჭერა ან მეორე ტურნიკეტის გამოყენება პირველის გვერდით. ხელახლა შეაფასეთ მდგომარეობა.</p> | <p>ბერკეტი ჩამკეტში ჩაამაგრეთ ზონარის საშუალებით. <b>მოამზადეთ პაციენტი ტრანსპორტირებისათვის და ხელახლა შეაფასეთ სიტუაცია.</b> ჩაინერეთ სახვევის დადების დრო.</p> |

თუ სახვევი არ გაქვთ, შეგიძლიათ, მსხვერპლს სთხოვოთ, თავად დააწვეს ჭრილობას. თუ ჭრილობა დაფარულია მსხვერპლის სამოსით, გახადეთ ან გაუჭერით ტანსაცმელი, რათა ჭრილობა გამოჩნდეს.

თუ ჭრილობაში უცხო სხეულია, არ ამოაძროთ, რადგან, შეიძლება, სისხლდენას აკავებდეს. დააწექით ამ ნივთს ორივე მხარეს ისე, რომ კიდეები ერთმანეთს მიებჯინოს და ეცადეთ, დაამაგროთ სახვევის საშუალებით.

თუკი სისხლდენა ვერ კონტროლდება უშუალო ზეწოლის მეშვეობით (არტერიული სისხლდენა – პულსირებადი ან უწყვეტი სისხლდენა ჭრილობიდან), გამოიყენეთ სამხედრო დანიშნულების ტურნიკეტი (CAT), დაამაგრეთ და მიაქციეთ ყურადღება, რომ გამოკვეთილად სისხლდენის წერტილის ზემოთ იყოს. თუ დარწმუნებული არ ხართ, სად არის სისხლმდენი წერტილი კიდურზე, დაამაგრეთ ტურნიკეტი „მაღლა და მჭიდროდ“ (რაც შეიძლება მაღლა) და მოუჭირეთ, სანამ სისხლდენა არ შეჩერდება.



ნაბიჯები:

01. მოათავსეთ დაზიანებული კიდური მარყუჟში;
02. მჭიდროდ მოუჭირეთ ზონარს და სახვევზე დაამაგრეთ;
03. დაატრიალეთ ბერკეტი (სანამ სისხლდენა არ შეჩერდება);
04. ჩამკეტში ჩასვით ბერკეტი და დააფიქსირეთ;
05. გადაახვიეთ სახვევი ბერკეტზე, ჩაინერეთ დამაგრების დრო.

### ▶ დამწვრობა

---

დამწვრობა წარმოადგენს თერმული, ელექტრო, ქიმიური ან ელექტრომაგნიტური საშუალებებით კანის დაზიანებას. ღია ალი დამწვრობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია.

როგორც წესი, კანის დაზიანების სიმძიმის მიხედვით განარჩევენ დამწვრობის პირველ, მეორე ან მესამე ხარისხებს.

პირველი ხარისხის დამწვრობა მხოლოდ კანის გარეთა შრეზე ზემოქმედებს. დაზიანებული ადგილი გაწითლებული, მტკივნეული და მშრალია, არ აღინიშნება ბუშტუკები.

მეორე ხარისხის დამწვრობისას (ნაწილობრივი სიღრმის) დაშავებული ადგილი წითელია, აღინიშნება ბუშტუკები, უმეტესობა დასივებული და მტკივნეულია.

მესამე ხარისხის (სრული სიღრმის) დამწვრობა შეიძლება, ასევე, აღნიშნავდეს კანქვეშა ქსოვილის - ძვლების, კუნთებისა და მყესების დაშავებას. ძვლების, კუნთებისა თუ მყესების დამწვრობას შეიძლება ეწოდოს მეოთხე ხარისხის დამწვრობა. დაზიანების ადგილი თეთრი ან დანახშირებული ჩანს. დაშავების არეალში შეგრძნებები გამქრალია, რადგან განადგურებულია ნერვული დაბოლოებებიც.

### პირველადი დახმარება

პირველი ნაბიჯია უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაშავებულის გადაყვანა სიცხის წყაროსაგან მოშორებით, რათა წვის პროცესი შეჩერდეს;

გახადეთ ტანსაცმელი და მოაშორეთ სამკაულები დამწვარი კანის სიახლოვეს, რათა აირიდოთ დასივების შემდგომი მეორადი დაზიანებები; არ შეეხოთ უშუალოდ დაშავებულ კანზე მიკრულ ობიექტს;

გააგრძელეთ დამწვრობა გრილი ან ოთახის ტემპერატურის მქონე გამდინარე წყლით დაახლოებით 20-30 წუთის განმავლობაში - არ გამოიყენოთ ყინული, გაყინული წყალი, კრემი, კარაქისა და ზეთისმაგვარი ცხიმოვანი ნივთიერებები და ა. შ.;

დარწმუნდით, რომ ადამიანი თბილადაა, მოახვიეთ, მაგალითად, საბანი; იმოქმედეთ ფრთხილად, რომ საბანი არ შეეხოს დამწვრობის ადგილს;

გაგრილების შემდგომ დამწვრობის ადგილს დააფარეთ შესაფუთი ცელოფანი ან პოლიეთილენის სუფთა პარკი (დამწვრობის ადგილს ნუ შემოახვევთ შესაფუთ ცელოფანს, რადგან საჭიროა ქსოვილის შეშუპებისთვის სივრცის დატოვება) და ტკივილის შესაჩერებლად, თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ ტკივილგამაყუჩებლები - მაგალითად, პარაცეტამოლი ან იბუპროფენი;

მჟავით ან სხვა ქიმიური საშუალებით დამწვრობის შემთხვევაში, სცადეთ, ფრთხილად მოაშოროთ ნივთიერება და დასვრილი ტანსაცმელი კანს; ჩამორეცხეთ დაზიანებული ადგილი რაც შეიძლება ბევრი სუფთა წყლით.

### ► **ჭრილობის მოვლა**

---

პრეჰოსპიტალურ გარემოებებში ჭრილობის მოვლისას პრიორიტეტია ჭრილობის შეფასება და სისხლდენის მართვა.

ჭრილობის გასუფთავება - გვეხმარება ბაქტერიების ჩამოშორებაში და ამცირებს ჭრილობის ინფიცირების ალბათობას, ამას გარდა, გვეხმარება გარე დამაბინძურებლების მოცილებაში. თუ თან გაქვთ პირველადი დახმარების ჩანთა, საჭიროა ჭრილობის ფიზიოლოგიური ხსნარით დამუშავება სახვევის დადებაამდე. თუ ფიზიოლოგიური ხსნარი ხელმისაწვდომი არ არის, შესაძლებელია ონკანის წყლით ჭრილობის გადარეცხვა, რაც ასევე შეამცირებს ბაქტერიების რაოდენობას.

ყოველთვის გაითვალისწინეთ დაზიანების მექანიზმი, მაგალითად: გულმკერდსა და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობა შეიძლება მიანიშნებდეს შიდა ორგანოების დაზიანებაზე და დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ტრანსპორტირება.

### ► **იზოზილიზაცია**

---

მოტეხილობა მიანიშნებს, რომ დაშავებულმა მძლავრი დარტყმა გადაიტანა და შეიძლება ჰქონდეს სხვა, ფარული დაზიანებები. ძვლის მოტეხილობამ შეიძლება შინაგანი სისხლდენაც გამოიწვიოს.










თუ არსებობს მოტეხილობის ან ღრძობის ეჭვი, საჭიროა არტაშანის დადება, რითაც შესაძლებელია დაზიანების სტაბილიზაცია პაციენტის ტრანსპორტირებისათვის და, შედეგად, შემდგომი დაშავების პრევენცია.

არსებობს ბევრი სხვადასხვა ტიპის არტაშანი და იმობილიზაციის ინსტრუმენტი, როგორებიცაა: მკლავის ფიქსატორი, მხრის ფიქსატორი, დამჭიმავი არტაშანი, SAM-ის არტაშანი, აირის ან ვაკუუმის არტაშანი, მყარი არტაშანი და ა. შ. გამოიყენეთ ყველაფერი, რაც ხელმისაწვდომია და რასაც ცნობთ; ან თავადვე შექმენით იმპროვიზებული არტაშანი.

იმობილიზაციის ოქროს წესი: უნდა მოხდეს მოტეხილობის ზემოთა და ქვემოთ სახსრების იმობილიზაცია, რათა შენარჩუნდეს სწორი პოზიცია და გამოირიცხოს მოძრაობა. მაგალითად, წინამხრის მოტეხილობისათვის საჭიროა იდაყვისა და მავის სახსრების იმობილიზაცია.

**ტექნიკა:**

— მიიღეთ შესაბამისი ზომები ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებისა თუ ინფექციის პრევენციისათვის. გაათავისუფლეთ დაშავების არეალი - მოაშორეთ ტანსაცმელი და გაასუფთავეთ.

|   |   |   |
|---|---|---|
|  <p>1. განსაზღვრეთ მოტეხილობის წერტილი. ეცადეთ, ძვალი დააბრუნოთ ნეიტრალურ პოზიციაში უხეში მოძრაობის გარეშე.</p>                                      |  <p>2. გაზომეთ პულისი და შეამოწმეთ სენსორული ფუნქციები.</p>  |  <p>3. მოაშორეთ სამკაულები, ტანსაცმელი ან სხვა ხელისშემშლელი ობიექტები.</p>  |
|  <p>4. ყველა ღია ჭრილობა უნდა იყოს შეხვეული და სისხლდენა შეჩერებული.</p>  |  <p>5. შეარჩიეთ არტაშანისთვის გამოსადეგი მასალა, მაგალითად, ფიცრები და კოხები.</p>  |  <p>6. დამზადეთ და დაარეგულირეთ არტაშანი(ები) დაუზიანებელ კიდურზე მორგების მეშვეობით.</p>   |
|  <p>7. მოათავსეთ არტაშანი(ები) დაზიანებულ კიდურზე, რომელიც ჩვეულებრივ, მოსვენებულ მდგომარეობაში უნდა იყოს. მაქსიმალურად ერიდეთ უხეშ მოძრაობას.</p> |  <p>8. მოათავსეთ რბილი საფენები არტაშანის ყველა ცარიელ ნაწილში, რათა სივრცე ამოივსოს და უხეში შეფრთხილების გამო დისკომფორტი არ შეიქმნას.</p> |  <p>9. მოახვიეთ არტაშანს თოკი, ზოლებად დაჭრილი ნაჭერი ან ელასტიკური სახვევები, რათა ერთ ადგილას დააფიქსიროთ. კვანძები უნდა იყოს დამაგრებული არტაშანის მასალაზე და არა მკლავზე.</p> |

- სთხოვეთ ვინმეს ხელით დაარეგულიროს / დააფიქსიროს დაზიანებული კიდური, რათა ხელი შეგეწყოთ გასინჯვისა და არტაშანის დადების დროს.

- შეაფასეთ კიდურის ქვედა ნაწილის მდგომარეობა; დაზიანებამ შეიძლება დააზარალოს გარემომცველი ქსოვილებიც;

- შემდეგ დაადეთ არტაშანი კიდურს; თუ კიდურის გასწორებისას წინალობას შეხვდებით, მაშინვე დაადეთ არტაშანი და ერიდეთ შემდგომ მანიპულაციას.

არტაშანის დადების შემდგომ ყოველთვის თავიდან შეაფასეთ კიდურის დისტალური ნაწილი და შეადარეთ პირველადი გასინჯვის შედეგს. თუ არტაშანის დადების შემდგომ პრობლემა წარჩუნდება, არტაშანი შესხენით და თავიდან შეაფასეთ დისტალური ფუნქცია.

### **პირველადი დახმარების ნაკრები:**

მიუხედავად იმისა, რომ კარგად დაკომპლექტებული პირველადი დახმარების ნაკრები მეტად საჭიროა და შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს კრიტიკულ სიტუაციებში, არ არსებობს დაკომპლექტების „ყველა შემთხვევაზე მორგებული“ საერთო წესი, რადგან იდეალურ შემთხვევაში აღჭურვილობისა და / ან სამედიცინო პრეპარატების ჩამონათვალი ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს: (1)ვინ იყენებს, (2) ცოდნის რა ხარისხით, (3) რამდენი ადამიანი გამოიყენებს ნაკრებს (4) და რომელ სიტუაციაში / რა ადგილას გამოიყენება.

გადაუდებელი შემთხვევებისათვის მომზადების საუკეთესო გეგმაა ტრენინგის გავლა და ტრენინგის განმახორციელებელთან კონსულტაცია შესაფერისი ჩამონათვალის შესადგენად.

საბაზისო ნივთები: გადაუდებელ შემთხვევაში მოქმედების გეგმა და საკონტაქტო პირების ნომრები, წებოვანი ლენტი, მარლის საფენები და სახვევები, ანტისეპტიკური სველი ხელსახოცები, სამხედრო დანიშნულების ტურნიკეტი, პერმანენტული მარკერი, სამკუთხედი სახვევები, კარდიოპულმონარული რეანიმაციის (CPR) ნიღაბი, მაკრატელი, თვალის ფარი, არტაშანი, დამწვრობის საფენები, სამედიცინო ხელთათმანი, ინგლისური ქინძისთავები, ტკივილ-გამაყუჩებლები - მაგალითად, პარაცეტამოლი ან იბუპროფენი.

### **სანდო წყაროები სამედიცინო დახმარების საკითხებზე:**

<https://www.mayoclinic.org>

<https://www.heart.org>

<https://www.nhs.uk>

<https://www.firstaidcenter.ge>



## თავი 7: ჟურნალისტის მიმაგრება და აკრედიტაცია

ავტორი: მარკ ლეიდი

კონფლიქტის გაშუქება კომპლექსური, გამონვევებითა და საფრთხეებით სავსე საქმიანობაა, რომლის ქვაკუთხედსაც ყოველთვის ქმნის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტი – ურთიერთობა მებრძოლებთან. სწორედ მათგან გროვდება რეპორტაჟისათვის აუცილებელი საკვანძო ინფორმაციის დიდი ნაწილი. მებრძოლთა მოქმედებამ შეიძლება ჟურნალისტი დაიცვას ან, პირიქით, უფრო დიდ საფრთხეში ჩააგდოს. სამხედროების ხელთ არსებულმა შესაძლებლობებმა, კომუნიკაციამ, ტრანსპორტმა და საბრძოლო ზონის კონტროლმა შეიძლება შეაფერხოს ან ხელი შეუწყოს რეპორტაჟის მომზადების პროცესს. იმავდროულად, სამხედრო ძალების უსაფრთხოება ხშირად საიდუმლოებას საჭიროებს, ჟურნალისტს კი გამჭვირვალობა სჭირდება. არის შემთხვევები, როცა სამხედრო ძალას საბრძოლო უპირატესობის მოსაპოვებლად ინფორმაციით მანიპულირება სურს.

ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ ჟურნალისტმა უმაღლესი პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს სამხედროებთან ურთიერთობების დარეგულირებას, შეიარაღებული ძალებისა და მედიის საჭიროებების დაბალანსებას სამართლიანი, ობიექტური და ინფორმაციული რეპორტაჟის მოსამზადებლად.

ამ ურთიერთობის საკვანძო კომპონენტია პროცესი, რომელსაც განზოგადებულად უწოდებენ „მიმაგრებას“ – ერთობლივ შეთანხმებას ურთიერთმოლოდინების, ვალდებულებებისა და შეგროვებული ინფორმაციის გამოყენების თაობაზე.

ამ თვალსაზრისით, მიმაგრებამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს, რომელთაგან თითოეულს თავის სპეციფიკა აქვს. თუმცა, ეს ფორმები, არსებითად, შეიძლება ორ კატეგორიად ჩაიშალოს: სამხედრო კორესპონდენტი ან დროებით მიმაგრებული პირი, როცა ჟურნალისტი ცხოვრობს ან მუშაობს სამხედრო შენაერთთან ერთად.

### სამხედრო კორესპონდენტი

ეს ტერმინი ხშირად განზოგადებულად გამოიყენება და აღნიშნავს ჟურნალისტს, რომელიც ომს აშუქებს. ჟურნალისტებიც ხანდახან უწოდებენ თავს სამხედრო (ომის) კორესპონდენტს ტერმინის ფართო გაგებით. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ **ჟენევის კონვენციის თანახმად ამ სიტყვას საკმაოდ კონკრეტული მნიშვნელობა აქვს**, რაც უფრო დეტალურადაა განხილული ამ სახელმძღვანელოს მე-3 თავში.

თუმცა, საერთო ჯამში, რეპორტიორი, რომელიც აკრედიტებული სამხედრო კორესპონდენტი ხდება, უნიფორმას და სამხედრო ოფიცრის სტატუსს ატარებს. იგი მებრძოლი არ არის, მაგრამ თუ მოწინააღმდეგე შეიპყრობს, სამხედრო ტყვის სტატუსი ენიჭება. სამხედრო ჟურნალისტის სტატუსი წვდომის უფრო მაღალ ხარისხს, უკეთეს დაცულობასა და სამხედრო მხარდაჭერას უზრუნველყოფს, თუმცა, იმავდროულად, მოპოვებული მასალა შემოწმებასა და ცენზურასაც ექვემდებარება. დიდი ალბათობით, ასეთი შემოწმება და პოტენციური ცვლილებები უფრო გახშირდება. სამხედრო ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა გახანგრძლივდება დაპირისპირების დასრულებამდე.

ასეთ გარემოებებში აკრედიტებულ სამხედრო კორესპონდენტად ყოფნა სერიოზული გადაწყვეტილებაა და უნდა მიიღებოდეს შესაბამის სამხედრო უწყებებს, დამსაქმებელსა და ჟურნალისტს შორის დეტალური განხილვების საფუძველზე. პრაქტიკაში ეს სტატუსი გონივრული ვარიანტი იქნება მხოლოდ დიდი დაპირისპირებების შემთხვევაში, როცა უფრო კონვენციური გაშუქება ზედმეტად საშიშია ან ჩვეულებრივ ჟურნალისტს წვდომა ეზღუდება.

ბოლო დროს ასეთი სტატუსი დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ძალებში გამონაკლისად იქცა, რაც ასახავს ომის ცვალებად ბუნებას, როცა ბრძოლა მეტწილად ე. წ. „ნაცრისფერ ზონაში“ მიმდინარეობს.

## ▶ მიმაგრების გავრცელებული ფორმები

როგორც ტერმინი „სამხედრო კორესპონდენტი“, ისე „მიმაგრებული ჟურნალისტიც“ საკმაოდ განზოგადებულად გამოიყენება და შეიძლება მიემართებოდეს სამხედროებთან სხვადასხვაგვარ ურთიერთობას, სამხედრო ობიექტზე ერთდღიანი ყოფნით დაწყებული, ბევრად უფრო ვრცელი პერიოდების ჩათვლით, რაც ხანდახან მოიცავს აქტიურ სამხედრო დახმარებას – ტრანსპორტირებას ან დაბინავებას. ასეთ გარემოებებში ჟურნალისტს სხვადასხვაგვარი პირობის შესრულება უწევს. თუმცა, სამხედროებთან ურთიერთობის თითქმის ყველა ფორმის ამოსავალი წერტილი არის აკრედიტაცია. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ინფორმაცია.

მიმაგრების შემთხვევაში ოქროს წესია ურთიერთმოლოდინებისა და ვალდებულებების სიცხადე. მოკლევადიანი თავშესაფრით სარგებლობა შეიძლება დიდად არ განსხვავდებოდეს სამოქალაქო შემთხვევისაგან, თუმცა სამხედრო დანაყოფთან ერთ დღე-ღამეზე დიდ ხანს დარჩენას განსხვავებული მიდგომა სჭირდება.

ჟურნალისტის მოლოდინები შეიძლება მოიცავდეს თავშესაფარს, საკვებს, მგზავრობასა და მხარდაჭერას დაშავების ან სხვა გადაუდებელი სიტუაციის შემთხვევაში. საჭიროა ამის მკაფიოდ განერა, სანამ მიმაგრებული ჟურნალისტი

მუშაობას დაიწყებს. აქვე, აუცილებელია შეგროვებული მასალის შემოწმება-გადახედვასა და შექმნილი მასალის ცენზურის ფორმებზე შეთანხმება. წესებს მხოლოდ ურთიერთობის ზოგადი ჩარჩოს განსაზღვრა შეუძლია. კარგი ურთიერთობის პირობებში შესაძლებელია საბოლოო პროდუქტზე გონივრული მოლაპარაკებაც, რაც უკეთეს შედეგებს განაპირობებს.

ოფიციალური „სამხედრო კორესპონდენტისაგან“ განსხვავებით, მიმაგრებული ჟურნალისტის სტატუსი არსებითად არ განსხვავდება სამოქალაქო სტატუსისაგან. მესამე თავში უფრო დეტალურადაა აღწერილი სამხედრო სტატუსი. თუკი ჟურნალისტი ხელთ ჩაუვარდება სხვა, მეტოქე ძალას, უფრო გონივრულია სამოქალაქო და არა ჟურნალისტური სტატუსის ხაზგასმა. მიმაგრებული ჟურნალისტი დანაყოფის ნაწილი არ არის, უბრალოდ, მათ მოქმედებებს აშუქებს.

## ▶ აკრედიტაცია

კონფლიქტის დროს სამხედროებთან ურთიერთობა მოითხოვს ურთიერთნდობას, რისთვისაც აუცილებელია აკრედიტაციის საშუალებით ურთიერთმოლოდინების ოფიციალურად განწერა. სხვადასხვა სამხედრო ძალას აკრედიტაციის საკუთარი სისტემა აქვს, თუმცა, უმეტესწილად, პრესბარათის (როგორც წესი, შეზღუდული ვადით) გაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნები იდენტურია.

ამრიგად, სანამ კონფლიქტის ზონაში გაემგზავრებით, უნდა დაუკავშირდეთ შესაბამის სამინისტროს (თავდაცვის ან, შეიძლება, შინაგან საქმეთა სამინისტროს) და გამოარკვიოთ, რა სჭირდებათ. აუცილებლად მოგთხოვენ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, საკონტაქტო დეტალებსა და ჟურნალისტის მოწმობებს – მათ შორის, დამსაქმებლებისაგან.

პრესბარათს შეიძლება ახლდეს იმ ნივთების ჩამონათვალი, რომელიც ჟურნალისტმა თავადვე უნდა მოიმარაგოს, მაგალითად: პირველადი დახმარების ნაკრები, დამცავი აღჭურვილობა, პრესის ნიშნები ტრანსპორტსა და ტანსაცმელზე.

ამას გარდა, განწერილი იქნება მასალის შეგროვება-გამოყენებასთან დაკავშირებული დამატებითი წესები. წესების შინაარსი დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაზე და შეიძლება, მოიცავდეს ინფორმაციას კონფლიქტის ზონაში გადაადგილების გეგმების შესახებ; ან სამხედრო ობიექტებზე მოგროვებული მასალის ჩვენების მოთხოვნას. ჟურნალისტი, რომელიც მიჩვეულია დამოუკიდებლად და შეზღუდვების გარეშე მუშაობას, შეიძლება გააღიზიანოს ზედმეტმა ჩარევამ. არასდროსაა ზედმეტი იმის გამეორება, რომ ვერცერთი წესი ვერ დაგვიცავს გაუთვალისწინებელი გარემოებისაგან. უსაფრთხოებასა და პრესის თავისუფლებას შორის გონივრული ბალანსის შენარჩუნებაც დამოკიდებულია კარგი ურთიერთობებისა და ურთიერთგაგების შენარჩუნებაზე.

## ▶ დასკვნები

---

- ოქროს წესია საშინაო დავალების წინასწარ შესრულება. გაიაზრეთ, რა გჭირდებათ, რას მოელიან თქვენგან, მკაფიოდ განსაზღვრეთ თქვენი სტატუსი, რის გაშუქება შეიძლება და რა შეზღუდვები გინესდებათ; ასევე, რა მასალაზე გექნებათ წვდომა.
- დაამყარეთ კარგი ურთიერთობები. წესები ნდობის საფუძველია, ხოლო ნდობა პერსონალურია.
- გაითვალისწინეთ და მოაგვარეთ გარდაუვალი წინააღმდეგობა სამხედროების საჭიროებებსა (საიდუმლოება) და გამჭვირვალობის სურვილს შორის.
- არასდროს დაუშვათ, რომ თქვენმა რეპორტაჟმა ან მოქმედებამ საფრთხეში ჩააგდოს ის სამხედრო ძალა, რომელსაც აშუქებთ.
- გახსოვდეთ, რომ ორივეს, ჯარისკაცებსაც და ჟურნალისტებსაც, სახლში მშვიდობით დაბრუნება სურთ!



## თავი 8. სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის მოკლე მიმოხილვა

ავტორი: გრიგოლი ინაშვილი

წინამდებარე თავში სამხედრო ფორმირებებსა თუ სამხედრო ტექნიკასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია ამომწურავი არ არის. მოცემული თავის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს ზოგადი ინფორმაცია სამხედრო ქვედანაყოფებისა და აღჭურვილობის შესახებ და წარმოაჩინოს სხვადასხვა დანიშნულების ტექნიკის მიზნობრიობა, მნიშვნელობა და გამოყენება.

### სამხედრო ძალების დანიშნულება და ფორმაციები

**შეიარაღებული/თავდაცვის ძალები** - სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული, მკაცრად სტრუქტურირებული სამხედრო ორგანიზაციაა. მისი მთავარი დანიშნულება ქვეყნის სუვერენიტეტის და ინტერესების დაცვაა, რასაც თავდაცვის ძალები მშვიდობიან და საომარ სიტუაციებში პირდაპირი საბრძოლო მოქმედებების საშუალებით ან არაპირდაპირი მეთოდებით აწარმოებს. არსებობს შეიარაღებული ძალების სამი ძირითადი ელემენტი.

**სახმელეთო ჯარები** - ჯარების უმთავრესი და ყველაზე ძველი სახეობა; აწარმოებს შეტევით და თავდაცვით ოპერაციებს ხმელეთზე. შემავალი გვარეობებია: ქვეითი ჯარი, მექანიზებული და მოტომსროლელი ჯარები, სატანკო, არტილერია და სარაკეტო ჯარები, საჯარისო საჰაერო თავდაცვა, სადესანტო-მოიერიშე გვარეობა, სპეციალური დანიშნულების ძალები.

სახმელეთო ჯარები წარმოადგენს შეიარაღებული/თავდაცვის ძალების ბირთვს.

**ქვეითი ჯარი:** ჯარების უძველესი სახეობა მსუბუქად შეიარაღებული. რელიეფთან ადაპტირებადი. მობილური და მანევრული.





**მექანიზებული-მოტომსროლელი:**  
შეჯავშნული მეტი მობილურობა  
მაღალი საცეცხლე ძალა  
ცეცხლის შორ მანძილზე წარმოება  
შორ მანძილზე მოქმედების უნარი

**სამხედრო საჰაერო ძალები** - აწარმოებს სხვადასხვა ოპერაციას ჰაერში, მხარს უჭერს სახმელეთო ჯარების ოპერაციებს. მშვიდობიან პერიოდში ახორციელებს სახელმწიფოს საჰაერო სივრცის კონტროლს და დაცვას. შემავალი გვარეობებია: გამანადგურებელი ავიაცია, ბომბდამშენი ავიაცია (საფრონტო, შორეული, სტრატეგიული დანიშნულების), მოიერიშე ავიაცია, სადაზვერვო ავიაცია, სატრანსპორტო ავიაცია, საარმიო ავიაცია, საჰაერო სპეციალური დანიშნულების ძალები.



**საჰაერო თავდაცვის ჯარები** - შემავალი გვარეობებია: გამანადგურებელი ავიაცია, საბენიტო-სარაკეტო ჯარები, რადიოტექნიკური ჯარები. ამ სახეობის ჯარების პირდაპირი დანიშნულებაა სახელმწიფოს საჰაერო სივრცის უწყვეტი კონტროლი და დაცვა. სისტემა სტანდარტულად შედგება პასიური და აქტიური კომპონენტებისგან.

**პასიური** - მართვა და საჰაერო სივრცის რადიოტექნიკური და სხვა საშუალებებით კონტროლი.

**აქტიური** - საჰაერო სივრცის დარღვევის შემთხვევაში, მოწინააღმდეგე სამიზნის განდევნა, განადგურება, რადიოელექტრონული ჩახშობა.



**სამხედრო-საზღვაო ძალები** - აწარმოებს საზღვაო ოპერაციებს, ლოკალური ან გლობალური მასშტაბით, მათ შორის საზღვაო-სადესანტო ოპერაციებს. მშვიდობიან პერიოდში აწარმოებს საზღვაო აკვადორიის დაცვას და კონტროლს. შემავალი გვარეობებია: წყალზედა ფლოტი, წყალქვეშა ფლოტი, საზღვაო ავიაცია, სანაპირო დაცვის სარაკეტო-საარტილერიო ჯარები, საზღვაო ქვეითები, საზღვაო სპეცდანიშნულების ძალები.



**სტრატეგიული სარაკეტო ჯარები** - ჯარების განსაკუთრებული სახეობა, გამოკვეთილად არ შეიცავს რომელიმე გვარეობას. პირდაპირი დანიშნულებაა სტრატეგიული დანიშნულების ბირთვული სარაკეტო სისტემების ექსპლუატაცია. ამ სახის ჯარები მხოლოდ ბირთვული სახელმწიფოების არმიებში გვხვდება.



### ძალების შემადგენლობა – შენაერთები

შეიარაღებულ/თავდაცვის ძალები მასში შემავალი ჯარების სხვადასხვა სახეობით და გვარეობით სტრუქტურულად შედგება ერთმანეთს სისტემურად დაქვემდებარებული სხვადასხვა ზომის დაჯგუფებისგან, შენაერთისგან და ქვედანაყოფისგან.

#### ლიზინია

მსხვილი ტაქტიკური შენაერთი, რომელიც აერთიანებს 6000-დან 25 000 კაცამდე პირად შემადგენლობას. შედგება ბრიგადების პოლკების და ცალკეული ბატალიონებისგან.

#### ბრიგადა

ტაქტიკური დონის შენაერთი შემადგენლობით 3000-დან 5000 კაცამდე. შედგება ბატალიონებისგან. სახმელეთო ჯარებში გავრცელებულია ქვეითი და მექანიზებული ბრიგადები.

#### პოლკი

ტაქტიკური დონის შენაერთი შემადგენლობით 1000-დან 3000 კაცამდე. უმეტესად შედის დივიზიების შემადგენლობაში, შეიძლება იყოს ცალკეული პოლკის სახითაც. შედგება ბატალიონებისგან და ცალკეული ასეულებისგან.

#### ბატალიონი

ყველაზე მსხვილი ტაქტიკური დონის ქვედანაყოფი შემადგენლობით 300-დან 1000 კაცამდე. შედის დივიზიების, ბრიგადების და პოლკების შემადგენლობაში. შეიძლება იყოს ცალკეული დამოუკიდებელი ბატალიონიც. სხვადასხვა გვარეობებში, მაგალითად, არტილერიაში და საჰაერო თავდაცვის ჯარებში ბატალიონის ზომის ქვედანაყოფი წარმოდგენილია დივიზიონის დასახელებით.

#### ასეული

ტაქტიკური დონის ქვედანაყოფი შემადგენლობით 100-დან 250 კაცამდე. ჩვეულებრივ, შედის ბატალიონების შემადგენლობაში, შეიძლება იყოს ცალკეულიც. სხვადასხვა გვარეობაში, მაგალითად, არტილერიაში და საჰაერო თავდაცვის ჯარებში ასეულის ზომის ქვედანაყოფი წარმოდგენილია ბატარეის დასახელებით.

**ოცეული**

მცირე ზომის ტაქტიკური ქვედანაყოფი შემადგენლობით 20-დან 50 კაცამდე. შედის ასეულების შემადგენლობაში და მოქმედებს ასეულის ამოცანებიდან გამომდინარე.

**ათეული**

უმცირესი ზომის ქვედანაყოფი შემადგენლობით 6-დან 12 კაცამდე. შედის ოცეულის შემადგენლობაში.

**სამხედრო ტექნიკის სახეობები და მათი იდენტიფიკაცია**

**სახმელეთო ჯარების ჯავშანტექნიკა:** სახმელეთო ჯარების გვარეობებში შემავალი ქვედანაყოფები იყენებენ შემდეგი ძირითადი სახეობის ჯავშანტექნიკას. ჯავშანტექნიკასთან დაკავშირებით გავრცელებული შეცდომაა ყველა სახის ჯავშანტექნიკის ტანკად მოხსენიება - ეს არასწორია. ყველა ტანკი ჯავშანტექნიკაა, მაგრამ ყველა ჯავშანტექნიკა ტანკი არ არის!

**ტანკი** - მძიმედ დაჯავშნილი საბრძოლო მანქანა, ქვეითი და მექანიზებული ძალების უნივერსალური საცეცხლე მხარდაჭერის საშუალებაა. ტანკის პირდაპირი დანიშნულებაა მონინალმდევის საბრძოლო ტექნიკის, პირადი შემადგენლობის და საცეცხლე წერტილების განადგურება შეტევით და თავდაცვით ოპერაციებში. თანამედროვე ტანკები კონსტრუქციულად ერთნაირი აგებულებისაა. მუხლუხიანი მძიმე სავალ ნაწილზე დადგმულია 360°-ით მბრუნავი კოშკურა, რომელშიც ჩამონტაჟებულია მისი ძირითადი შეიარაღება, ქვემეხი.



01.

რუსული არმიის ძირითადი ტანკი **T-72B3**

02.

აშშ-ის არმიის ძირითადი ტანკი **M1A2 Abrams**

03.

ისრაელის წარმოების მძიმე ტანკი **Merkava MK4**

**ქვეითა საბრძოლო მანქანა (IFV) -** მსუბუქად ან საშუალოდ დაჯავშნილი საბრძოლო მანქანაა, რომლის დანიშნულებაც ქვეითების უშუალოდ ბრძოლის ველზე გადაყვანა და მათი საცეცხლე მხარდაჭერაა. ქვეითთა საბრძოლო მანქანები საერთო-საჯარისო ოპერაციებში გამოიყენება ტანკებთან ერთად. სავალი ნაწილი უმეტესად მუხლუხიანია, თუმცა არსებობს ბორბლებიანი მოდელებიც. ამ ტიპის მანქანების ძირითადი შეიარაღება მცირეკალიბრიანი ავტომატური ქვემეხებია, რომელიც სროლის მაღალი ტემპით და მსხვრევადი ჭურვებით განსაკუთრებული საფრთხის მომტანია ქვეითი დაუჯავშნავი ცოცხალი ძალისთვის. ზოგიერთი ქვეითთა საბრძოლო მანქანა ამფიბიური კონსტრუქციისაა და შეუძლია ცურვა.



**01.** რუსული ქვეითთა საბრძოლო მანქანა **BMP-2**

**02.** აშშ-ის არმიის ქვეითთა საბრძოლო მანქანა **M2 Bradley**

**03.** ჩინური **ZBD-04/Type 04**

**ჯავშანტრანსპორტიორი -** მსუბუქად ან საშუალოდ დაჯავშნილი სამხედრო დანიშნულების ტრანსპორტი, რომლის დანიშნულებაა მოტომსროლელი/ მოტორიზებული ქვედანაყოფის ბრძოლის ველამდე მიყვანა. ქვეითთა საბრძოლო მანქანასთან შედარებით აქვს უფრო მსუბუქი შეიარაღება. თანამედროვე მოდელებში, ქვეითთა საბრძოლო მანქანებსა და მძიმე ჯავშანტრანსპორტიორებს შორის ხშირად ნაშლილია ზღვარი. საჯარისო დანიშნულების ჯავშანტრანსპორტიორები უმეტესად გავრცელებულია 6X6 და 8X8 ზე ბორბლებიანი სავალი ნაწილით, თუმცა, არსებობს მუხლუხიანი მოდელებიც. ძირითადი შეიარაღებაა მძიმე ტყვიამფრქვევები, ავტომატური ყუმბარმტყორცნები. შესაძლებელია აღჭურვილი იყოს ავტომატური ქვემეხითაც. ზოგიერთი მოდელი ამფიბიური კონსტრუქციისაა და შეუძლია ცურვა.



01. რუსული ჯავშანტრანსპორტიორი **BTR-82**
02. ამერიკული მუხლუხოიანი ჯავშანტრანსპორტიორი **M-113**
03. საბჭოთა წარმოების მრავალფუნქციური მუხლუხოიანი ჯავშანტრანსპორტიორი-გამწე **MT-LB**

**საარმიო ტექნიკური ჯავშანმანქანები** - ამ ტიპის ჯავშანტექნიკა თანამედროვე ბრძოლის ველზე ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება. ესაა შუალედური საშუალება სრულფასოვან ჯავშანტრანსპორტიორებსა და საავტომობილო ტექნიკას შორის. ძირითადად გავრცელებულია 4X4 სავალი ნაწილით. მულტიფუნქციური კონსტრუქციის გამო, ასეთი მანქანები პრაქტიკულად ყველა გვარეობის ჯარებში გამოიყენება სხვადასხვა მოდიფიკაციით, მათ შორის საპატრულო, სადაზვერვო, კავშირგაბმულობის, სპეციალური დანიშნულების, საშტაბო-სამეთაურო და სხვა.



01. ამერიკული საარმიო ჯავშანმანქანა **HMMWV**.
02. ამერიკული უახლესი საარმიო ჯავშანმანქანა **JLTV**.
03. რუსული არმიის ტექნიკური საარმიო ჯავშანმანქანა **Tyger-M**.

**სახმელეთო ჯარების არტილერია:** არტილერიის ძირითადი დანიშნულება საკუთარი ძალების ძლიერი პირდაპირი და არაპირდაპირი დამიზნების ცეცხლით მხარდაჭერაა. პირდაპირი დამიზნების ცეცხლი ახლო მანძილზე მოქმედებს. ჭურვის ტრაექტორია დამიზნების ხაზზე ხილულ სამიზნემდე სწორხაზოვანია. არაპირდაპირი დამიზნების ცეცხლი გაცილებით შორ მანძილზე მოქმედებს. სროლისას სამიზნე არის შორეული და არ ჩანს. არაპირდაპირი ცეცხლის წარმოებისას ვერტიკალური დამიზნების კუთხე და ჭურვის ბალისტიკური ტრაექტორიის სიმრუდე უფრო მაღალია.

გამოიყოფა საარტილერიო სისტემების ორი ძირითადი სახეობა ლულიანი და რეაქტიული.

**ლულიანი არტილერია:** ქვემეხები/ჰაუბიცები და ნაღმსატყორცნები.

**ქვემეხი/ჰაუბიცა** - ლულიანი საარტილერიო სისტემების ძირითადი სახეობა. არსებობს ბუქსირებადი და თვითმავალი ქვემეხები/ჰაუბიცები. სროლის მანძილი დამოკიდებულია კალიბრზე, ლულის სიგრძეზე და საბრძოლო მასალის სახეობაზე. თანამედროვე ჰაუბიცები ჩვეულებრივი ჭურვებით 40 კმ-მდე ისვრიან. აქტიურ-რეაქტიული და რაკეტულ ამაჩქარებლიანი ჭურვებით კი, ზოგ შემთხვევაში, 60-70 და 110 კმ-მდეც კი. **თვითმავალ ქვემეხებს ხშირად ახასიათებთ ტანკის მსგავსი კონსტრუქცია, თუმცა მათი ჯავშანი ბევრად სუსტია.** სავალი ნაწილი გვხვდება მუხლუხოიანიც და ბორბლებიანიც.



- 01.** ამერიკული 155 მმ ბუქსირებადი ჰაუბიცა **M777**.
- 02.** საბჭოთა-რუსული წარმოების 152 მმ თვითმავალი ჰაუბიცა **2S3 Akacia**, ტანკის მსგავარი კონსტრუქციით.
- 03.** ფრანგული 155 მმ თვითმავალი ჰაუბიცა **CAESAR** ბორბლებიან შასიზე, ღია საბრძოლო ნაწილით.

**ნაღმსატყორცნები** - საარტილერიო დანადგარების ერთ-ერთი უძველესი სახეობა. მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის და საცეცხლე წერტილების განადგურება. ყველა ნაღმსატყორცნი კიდული ტრაექტორიით ისვრის. ნაღმსატყორცნი კონსტრუქციულად ყველაზე მარტივი საარტილერიო დანადგარია, ბრძოლის ველზე ყველაზე გავრცელებული საარტილერიო შეიარაღების სახეობაა და წარმოდგენილია გადასატან და თვითმავალ კონფიგურაციებში.



- 01.** ამერიკული გადასატანი 81 მმ ნაღმსატყორცნი **M 252**
- 02.** საბჭოთა რუსული გადასატანი 120 მმ ნაღმსატყორცნი **2B11**





- 01. საბჭოთა 120 მმ თვითმავალი ნაღმსატყორცი **2S9 Nona-S**
- 02. საბჭოთა-რუსული 240 მმ მძიმე თვითმავალი ნაღმსატყორცი **2S4 Tyulpan**
- 03. მობილური 120 მმ ავტომატიზებული ნაღმსატყორცი ჯავშანმანქანა **JLV**-ის ბაზაზე.

### რეაქტიული არტილერია: ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები

**ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები** - საარტილერიო სისტემების ყველაზე ძლიერი სახეობაა, მისი დანიშნულება ახლო, საშუალო და შორ მანძილებზე მონინააღმდეგის ჯგუფური და წერტილოვანი მიზნების განადგურებაა, ფართობის დამუშავების ან ზუსტი დარტყმის მეთოდით. ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები იყენებენ სხვადასხვა კალიბრის უმართავ და მართვად-კორექტირებად რაკეტებს.



- 01. საბჭოთა 122 მმ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა **BM-21 Grad**
- 02. საბჭოთა-რუსული 300 მმ მძიმე ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა **BM-30 Smerch**
- 03. ამერიკული 227 მმ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა **M-142 HIMARS**

მრავალ ქვეყანაში, არტილერიის და სარაკეტო ჯარების გვარეობის შეიარაღებაში ასევე შედის ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური ბალისტიკური რაკეტების გამშვები სისტემებიც. ასეთი რაკეტები ზოგჯერ ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებშია ინტეგრირებული. მათი სროლის მანძილები 120-დან 500 კმ-მდე მერყეობს.



**01.** საბჭოთა ოპერატიულ-ტაქტიკური ბალისტიკური სარაკეტო კომპლექსი **9K79 Tochka-U**

**02.** ამერიკული წარმოების ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა **M-270 MLRS** ისვრის **MGM-140 ATACMS**-ის ტიპის ბალისტიკურ რაკეტას.

### საჰაერო თავდაცვის სისტემები:

საჰაერო თავდაცვის ჯარების შეიარაღებაში შედის ახლო, საშუალო და შორ მანძილზე მოქმედი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და რამდენიმე ასეულ კილომეტრზე მოქმედი რადიოლოკაციური სადგურები.




**01.** უკრაინული წარმოების შორ მანძილზე მოქმედი რადიოლოკაციური სადგური **36D6**

**02.** ამერიკული შორ მანძილზე მოქმედი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **MIM-104 Patriot**, სამიზნეების ჩამოგდება 160 კმ-მდე მანძილზე შეუძლია.

**03.** რუსული შორ მანძილზე მოქმედი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **S-400**

განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება სითბური დამიზნების გადასატანი საზენიტო კომპლექსები და საზენიტო არტილერია, რომლის საშუალებითაც 5 კმ-მდე მანძილებზეა შესაძლებელი სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატების ჩამოგდება.



- 01. ამერიკული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **FIM-92 Stinger**.
- 02. საბჭოთა რუსული საჯარისო საზენიტო სარაკეტო-საარტილერიო დანადგარი **2S6 Tunguska**.
- 03. აშშ-ის არმიის მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **AVENGER**.

### საფრენი აპარატები და მათი იდენტიფიკაცია:

**ვერტმფრენები** - გამოიყენება სამხედრო საჰაერო ძალების სხვადასხვა გვარეობაში. არსებობს ორი ძირითადი დანიშნულების სამხედრო ვერტმფრენების სახეობა: სატრანსპორტო და მოიერიშე-დამრტყმელი. არის ასევე მრავალფუნქციური ვერტმფრენებიც, რომლებიც მრავალ სხვადასხვა ფუნქციას ითავსებს - მათ შორის სადაზვერვო, რადიოელექტრონული ბრძოლის, მართვის, კონტროლის და სხვ.

**სატრანსპორტო ვერტმფრენების** დანიშნულებაა ბრძოლის ველზე ან ზურგში პირადი შემადგენლობის გადაყვანა და შეიარაღების გადატანა. გამოიყენება სადესანტო-აერომობილურ ოპერაციებშიც. სატრანსპორტო ვერტმფრენები თავდაცვითი დანიშნულებით ხშირად შეიარაღებულია ტყვიამფრქვევებითაც. ამ ფუნქციის გათვალისწინებით, საფრენი აპარატების შიდა მოცულობა მაქსიმალურად არის გაზრდილი. სატრანსპორტო ვერტმფრენები იდეალური გადაადგილების საშუალებაა მთაგორიან რელიეფზე, სადაც ამ ტიპის საფრენი აპარატი რელიეფის უსწორმასწორობის გამოყენებით მარტივად ემალება რადიოლოკაციურ სადგურებს.



- 01. ამერიკული მრავალფუნქციური ვერტმფრენი **UH-60 Black Hawk**
- 02. ამერიკული მძიმე ორხრახნიანი სარანსპორტო ვერტმფრენი **Boeing CH-47 Chinook**

**03.** რუსული **Mi-8** ტიპის საშუალო კატეგორიის სატრანსპორტო ვერტმფრენები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია.

**მოიერიშე** - დამრტყმელი ვერტმფრენების დანიშნულებაა ფრონტის წინა ხაზზე და ტაქტიკურ სიღრმეებში განლაგებული ცოცხალი ძალის და საბრძოლო ტექნიკის განადგურება, უმართავი/მართავი რაკეტებით და ავტომატური ქვემეხით. დაბალ სიმაღლეზე ფრენის უნარის გამო, მოიერიშე ვერტმფრენები ეფექტური საშუალებაა მტრის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების გასანადგურებლად, თუმცა დაუცველია საპასუხო ცეცხლის მიმართ. ეკიპაჟის დასაცავად საზენიტო ტყვიამფრქვევების და ქვემეხებისგან ასეთი ვერტმფრენების უმრავლესობა მსუბუქად ან მძიმედ დაჯავშნილია.



**01.** ამერიკული **AH-64 Apache** ამ კლასში საუკეთესოდ ითვლება.

**02.** თანამედროვე რუსული დამრტყმელი ვერტმფრენი **KA-52 Aligator**.

**03.** რუსული მძიმედ დაჯავშნილი **Mi-28**

**სპეციალური ვერტმფრენები** - გარდა ორი ძირითადი სახეობისა, სხვადასხვა მრავალფუნქციური ვერტმფრენის ბაზაზე შექმნილია და გამოიყენება ათეულობით სხვადასხვა დამხმარე სპეციალური დანიშნულების ვერტმფრენი.



**01.** საბჭოთა რადიოელექტრონული ბრძოლის **Mi-8PPA**.

**02.** საჰაერო შეტყობინების, კონტროლისა და მართვის **Ka-31**.

**03.** ამერიკული სადაზვერვო **OH-58D Kiowa Warrior**

**სამხედრო დანიშნულების თვითმფრინავები** - თანამედროვე თვითმფრინავების ძირითადი მახასიათებელია მათი მრავალფეროვნება. გამანადგურებელი თვითმფრინავით ხშირად შესაძლებელია როგორც მონინალმდევის თვითმფრინავთან ბრძოლისთვის, ისე ბომბებისა და ქურვების გადასატანად, ხმელეთზე განლაგებულ სამიზნეებზე შეტევისთვის. ამიტომ, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები მხოლოდ სახელმძღვანელო მაგალითებად უნდა ჩაითვალოს.

**გამანადგურებელი/გამანადგურებელ-ბომბდამშენი (Fighter/fighter-bomber)** - საბრძოლო თვითმფრინავის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა. პირდაპირი დანიშნულებაა საჰაერო სივრცის კონტროლი მონინალმდევის საფრენი აპარატების ჩამოყრის გზით. გამანადგურებელი ავიაცია ოპერაციებში მხარს უჭერს ყველა სხვა ტიპის სპეციალიზებულ საფრენ აპარატს და ეხმარება საკუთარი მოვალეობის უსაფრთხოდ შესრულებაში. გამანადგურებელ თვითმფრინავებს ახასიათებს მაღალი სიჩქარე და მანევრულობა. ბევრი მათგანი ხმელეთზე განლაგებულ სამიზნეზე შეტევისთვისაც გამოიყენება.



01. ამერიკული მე-4 თაობის გამანადგურებელი **F-15C**

02. რუსული მე-4 თაობის გამანადგურებელი **Su-30**

03. ამერიკული მე-5 თაობის მრავალფუნქციური გამანადგურებელი **F-35**

**მოიერიშე თვითმფრინავები (Close air support)** - სახმელეთო ჯარების ახლო საცეცხლე მხარდაჭერის საშუალებაა. მოიერიშე თვითმფრინავის დანიშნულებაა ფრონტის წინა ხაზზე განლაგებული მონინალმდევის განადგურება დაბალი სიმაღლიდან გაშვებული უმართავი და მართავი რაკეტებით, ბომბებით და საავიაციო ქვემეხით.

მოიერიშეების ერთ-ერთი პირველი სამიზნეები ტანკები და სხვა ჯავშანტექნიკაა. მოიერიშე თვითმფრინავებს ახასიათებთ დაბალი სიჩქარე და მაღალი გამძლეობა.



01. ამერიკული მოიერიშე თვითმფრინავი **A-10 Thunderbolt II**

02. საბჭოთა-რუსული მოიერიშე თვითმფრინავი **Su-25**

**ბომბდამშენი თვითმფრინავები** - არსებობს ორი ძირითადი სახეობის ბომბდამშენები, ოპერატიული და სტრატეგიული.

**ოპერატიული ბომბდამშენები** - ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „დამრტყმელ თვითმფრინავებს“. მათი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ჯარების თავმოყრის რაიონებში და ასევე ღრმა ზურგში მნიშვნელოვანი სამიზნეების განადგურება უმართავი და მართავი ბომბებით. ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის კომპონენტების განადგურებაა. საფრონტო ბომბდამშენები მუშაობს საშუალო და მაღალი სიმაღლეებიდან. თანამედროვე მოდელები გამანადგურებლის ფუნქციებსაც ითავსებს. შეუძლია ჰაერი-ჰაერი და ჰაერი-მიწა კლასის რაკეტების გამოყენება.



01. ამერიკული მე-4 თაობის მრავალფუნქციური გამანადგურებელ-ბომბდამშენი **F-15E Strike Eagle**

02. რუსული საფრონტო ბომბდამშენი **Su-34**

03. რუსული საფრონტო ბომბდამშენი **Su-24**

**შორეული მოქმედების ბომბდამშენები** – მათი დანიშნულებაა მონინაალმდეგის ღრმა ზურგში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სამიზნეების დაბომბვა. საზღვაო დაჯგუფებების განადგურება ხომალდ-სანინაალმდეგო რაკეტებით.



**01.** რუსული შორი მოქმედების ბომბდამშენი **Tu-22M3**

**სტრატეგიული დანიშნულების ბომბდამშენები** – ამ ტიპის ბომბდამშენების დანიშნულებაა მონინაალმდეგის სტრატეგიულ სიღრმეებში დარტყმა პირდაპირი შეფრენით ან შორი მანძილებიდან ფრთოსანი რაკეტების გაშვებით. სტრატეგიული ბომბდამშენები ბირთვული ტრიადის ერთ-ერთ კომპონენტია. ბირთვული ქვეყნების შეიარაღებაში არსებული სტრატეგიული ბომბდამშენების არსენალში ძირითადი ადგილი უკავია ბირთვულ საავიაციო ბომბებს და ბირთვულ ქობინიან ფრთოსან რაკეტებს.



**01.** ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენი **B-1B Lancer**



**02.** რუსული სტრატეგიული ბომბდამშენი **Tu-160**



**03.** ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენი **B-52 Stratofortress**

**სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები** – პირდაპირი დანიშნულებაა ახლო და შორ მანძილებზე პირადი შემადგენლობის გადაყვანა, მძიმე ტექნიკის და ტვირთის გადატანა ან საჰაერო-სადესანტო ოპერაციების ჩატარება მედესანტეების და მედესანტეთა საბრძოლო ტექნიკის პარაშუტებით ჩამოყრის გზით.



- 01. აშშ-ს საჰაერო ძალების **Lockheed C-130 Hercules**
- 02. დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალების **A400M Atlas**
- 03. რუსეთის საჰაერო ძალების **IL-76**

**საჰაერო შეტყობინება, მართვა და კონტროლი** - სატრანსპორტო თვითმფრინავის ბაზაზე აგებული შორეული რადიოტექნიკური დაზვერვის და მართვის სისტემა. შეუძლია რამდენიმე ასეულ კილომეტრზე საჰაერო და სახმელეთო სამიზნეების გამოვლენა და მათზე გამანადგურებელი და ბომბდამშენი თვითმფრინავების გამიზვნა საჰაერო ოპერაციების მართვისთვის. NATO-ს კლასიფიკაციით იწოდება როგორც AWACS (Airborne Warning And Control System). AWACS-ის ტიპის თვითმფრინავების იდენტიფიკაცია მარტივია, საფრენი აპარატის ფიგურაზე დიდი ზომის მრგვალი ან მოგრძო ფორმის ანტენებით.



- 01. აშშ-ს საჰაერო ძალების **Boeing E-3 Sentry (AWACS)**
- 02. რუსეთის საჰაერო ძალების **A-50U**
- 03. სამხრეთ-კორეის საჰაერო ძალების **Boeing E-7 Wedgetail**

### საჰაერო სახმელეთო და საზღვაო დრონები

ბოლო ოთხი ათეული წელია, თანამედროვე ტექნოლოგიებით გაჯერებულ ბრძოლის ველზე უფრო და უფრო აქტიურად იკიდებს ფეხს სხვადასხვა ტიპის საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო დრონები.



## უპილოტო საფრენი აპარატები/დრონები

**სადაზვერვო დრონების** მართვა შესაძლებელია მოკლე და საშუალო მანძილზე პირდაპირ რეჟიმში სახმელეთო მართვის ცენტრიდან პირდაპირი კავშირით, სტრატეგიულ სიღრმეებში კი რამდენიმე ათასი კილომეტრიდან, თანამგზავრული მართვის და კავშირის სისტემებით. ძირითადი ფუნქცია ოპტიკური და რადიოტექნიკური დაზვერვაა. ხშირად გამოიყენება არტილერიის და ზუსტი შეიარაღების დასამიზნებლად.

**დამრტყმელ და კამიკაძე კონფიგურაციებში** დღეისათვის გამოიყენება როგორც ძვირადღირებული მაღალტექნოლოგიური უპილოტო პლატფორმები, ასევე ძალიან დაბალი ღირებულების კომერციული კვადროკოპტერები და სპორტული FPV (First-person view) დრონები. კამიკაძე დრონები ერთჯერადია, მათი საშუალებით სამიზნეების განადგურება მოკლე და საშუალო მანძილზე პირდაპირი დაჯახებით ხდება. კამიკაძე დრონების გამორჩეული სახეობაა ბარაჟირებადი დრონები, რომელიც საბრძოლო მოქმედების რაიონის თავზე გარკვეული დროით ბარაჟირებს და სამიზნის აღმოჩენა-იდენტიფიკაციის შემდეგ, დიდი სიჩქარით ზემოდან ეცემა მას.



**01.** რუსული ოპტიკური და რადიოტექნიკური დაზვერვის დრონი **Orlan 10**

**02.** თურქული სადაზვერვო-დამრტყმელი დრონი **Bayraktar TB2**

**03.** კომერციული **FPV** დრონი ტანკსანინალმდეგო კუმულაციური ჭურვით, რომლითაც სხვადასხვა ჯავშანტექნიკას პირდაპირი დაჯახებით ანადგურებს.

უპილოტო სახმელეთო და საზღვაო აპარატები ძირითადად გამოიყენება სადაზვერვო და შეიარაღების გადამტან პლატფორმებად. სახმელეთო დრონ-რობოტის საშუალებით შესაძლებელია ცეცხლის წინა ხაზზე საბრძოლო მასალების მიტანა და დაჭრილების გამოყვანა.



საზღვაო ბაზირების დრონების დანიშნულება თავდაპირველად საზღვაო აკვატორიის კონტროლი და დაზვერვა იყო, ბოლო წლებში კი, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომში, გამოჩნდა კამიკაძე დრონი-კატარლებიც, რომლებსაც რამდენიმე ასეულ კილომეტრზე შეუძლია ავტონომიური და თანამგზავრული მართვის რეჟიმში ცურვა და დიდი ზომის საზღვაო ხომალდების განადგურება პირდაპირი შეტახებით.


**01.** უკრაინული წარმოების კამიკაძე კატარლა **Magura**

**02.** ესტონური წარმოების საცეცხლე მხარდაჭერის სახმელეთო რობოტი დრონი **THEMIS**

### საზღვაო ხომალდები

სხვადასხვა ქვეყნის დიდი და პატარა საზღვაო ფლოტების არსენალში დღეის მდგომარეობით გვხვდება შემდეგი სახეობის ხომალდები:

**ავიამზიდი** - საზღვაო სამხედრო ხომალდის ყველაზე მსხვილი სახეობა. ავიამზიდის დანიშნულებაა მოიერიშე თვითმფრინავების, რეაქტიული გამანადგურებლების და ვერტმფრენების დაჯგუფების პლანეტის ნებისმიერ წერტილში გადაყვანა. ერთი ავიამზიდის საბრძოლო პოტენციალი ხშირად მთელი საავიაციო ბაზის პოტენციალს აღემატება. ავიამზიდები მოქმედებს საავიამზიდო დაჯგუფებების შემადგენლობაში, სადაც მას მხარდაჭერას რამდენიმე ათეული სხვადასხვა დანიშნულების წყალზედა და წყალქვეშა ხომალდი უწევს. არსებობს ავიამზიდების რამდენიმე სახეობა: მძიმე სუპერავიამზიდები, საშუალო მრავალფუნქციური ავიამზიდები და მსუბუქი ავიამზიდები.



01. აშშ-ის ფლოტის საავიამზიდო დაჯგუფება.

02. აშშ-ის ფლოტის ატომური ავიამზიდი USS Theodore Roosevelt (CVN-71)

**კრეისერი** - შორი მოქმედების მძიმე საზღვაო ხომალდი. სარაკეტო კრეისერებს რამდენიმე ასეულ კილომეტრზე შეუძლიათ საჰაერო სივრცის კონტროლი და მონინაალმდეგის საზღვაო ხომალდების განადგურება ჩვეულებრივი და ბირთვულ ქობინიანი რაკეტებით. მათ სამიზნეებში ნომერ პირველი ადგილი ავიამზიდებს უკავია. თავისი ფუნქციით, კრეისერები შემტევი ტიპის საზღვაო ხომალდებია და ოკეანეებსა და დიდ ზღვებში საზღვაო უპირატესობის მოპოვებისთვისაა შექმნილი. მის შეიარაღებაში შედის ბირთვულ ქობინიანი რაკეტებიც.



01. აშშ-ის ფლოტის Ticonderoga-ს კლასის სარაკეტო კრეისერი

02. რუსული ფლოტის მძიმე სარაკეტო კრეისერი

**საესკადრო ნაღმოსანი** - მრავალფუნქციური საშუალო წონითი კატეგორიის ხომალდი საზღვაო, მათ შორის, საავიამზიდო დაჯგუფებების დასაცავად. თანამედროვე საესკადრო ნაღმოსნები ითავსებს ფუნქციების სპექტრს, მათ შორისაა ფრთოსანი რაკეტების გამშვები პლატფორმა, წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა, საჰაერო თავდაცვის და რაკეტსანიანალმდეგო ფარის შექმნა, როგორც სახმელეთო ობიექტების ასევე საზღვაო დაჯგუფების გარშემო. საესკადრო ნაღმოსნები აღჭურვილია რამდენიმე ასეულ კმ-ზე მოქმედი ძლიერი რადიოლოკაციური სადგურებით.



**Arleigh Burke**-ის კლასის ამერიკული საესკადრო ნაღმოსანი.

**სადესანტო ხომალდები** - ამ კლასის ხომალდების დანიშნულებაა საზღვაო სანაპიროებზე დესანტის გადასხმა ცოცხალი ძალის და მძიმე ტექნიკის შემადგენლობით, ასევე შორ მანძილებზე დიდი რაოდენობით საბრძოლო ტექნიკის და სამხედრო-ლოჯისტიკური ტვირთის გადატანა. თანამედროვე უნივერსალური სადესანტო ხომალდები მსუბუქი ავიაშიდების ფუნქციასაც ითავსებს, რომლებზეც სხვადასხვა ტიპის ვერტმფრენები და უპილოტო საფრენი აპარატები ბაზირებს. სადესანტო ხომალდები საზღვაო დაჯგუფებების შემადგენლობაში მოქმედებს და საჭიროებს სხვა ძლიერი შეიარაღებით აღჭურვილი ხომალდებისგან დაცვას.



01.



02.



**01. Mistral**-ის კლასის ფრანგული უნივერსალური დიდი სადესანტო ხომალდი

**02. 775 Ropucha**-ს კლასის საბჭოთა-რუსული დიდი სადესანტო ხომალდი

**წყალქვეშა ნავეები** - წყალქვეშა მოქმედების მსუბუქი, საშუალო და მძიმე კატეგორიის ხომალდები. გამოირჩევა ორი სახეობა - დიზელის ძრავიანი და ატომური წყალქვეშა ნავეები.

**ატომური წყალქვეშა ნავები** გამოირჩევა მაღალი ავტონომიურობით. ატომური წყალქვეშა ნავები ძირითადად ტორპედოებით, ფრთოსანი რაკეტებით და სტრატეგიული დანიშნულების ბირთვული რაკეტებით არის აღჭურვილი. დიზელის ძრავიანი წყალქვეშა ნავები უმეტესად შეიარაღებულია ტორპედოებით და ფრთოსანი რაკეტებით. წყალქვეშა ნავები მოქმედებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე დიდი საზღვაო დაჯგუფებების შემადგენლობაში. ბირთვული ქვეყნების ფლოტებში ატომურ წყალქვეშა ნავებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, როგორც ბირთვული სარაკეტო შეიარაღების მატარებელ პლატფორმებს.



- 01.** **Ohio**-ს კლასის ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავი.
- 02.** **941 Akula**-ს კლასის რუსული ატომური წყალქვეშა ნავი.

### ნაღმები (Land mine)

ნაღმი არის ქარხნულად ან კუსტარულად დამზადებული ფეთქებადი მოწყობილობა, რომლის ძირითადი კომპონენტებია ფეთქებადი მუხტი და დეტონატორი. ნაღმები გამოიყენება ცოცხალი ძალის, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დასაზიანებლად ან გასანადგურებლად. ნაღმები უდიდეს საფრთხეს უქმნის საბრძოლო მოქმედებების ზონაში მომუშავე ჟურნალისტებს.

დღეისათვის გამოკვეთილია ნაღმის რამდენიმე ძირითადი სახეობა, ესენია:

- 01.** ქვეითსანიანამდგომ ნაღმები;
- 02.** ტანკსანიანამდგომ ნაღმები;
- 03.** საზღვაო ნაღმები;
- 04.** დივერსიული / სპეციალური ნაღმები.



**დანაღმული ტერიტორიების სიახლოვეს შევხვდებით ასეთ გამაფრთხილებელ აბრებს !**

**ქვეითსანიანალმდეგო ნაღმები** - ქვეითსანიანალმდეგო ნაღმები განკუთვნილია კონკრეტული ტერიტორიის დასანაღმად და გათვლილია მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის წინააღმდეგ. ქვეითსანიანალმდეგო ნაღმი სამი ტიპისაა: **ფუგასური, მსხვრევადი და ტყვიისებრი. ფუგასუხი და ტყვიისებრი** ნაღმი აზიანებს მხოლოდ მასთან შეხებაში მყოფ ქვეითს. **მსხვრევადი ნაღმები** კი მისი ნამსხვრევების გაფანტვის ზონაში არსებულ ცოცხალ ძალას აზიანებს.

**ზოგიერთი ტიპის ქვეითსანიანალმდეგო ნაღმები.**



**ტანკსანინალმდეგო ნაღმები** – ტანკსანინალმდეგო ნაღმების დანიშნულებაა ტანკების და სხვა მძიმე ტექნიკის აფეთქება-მწყობრიდან გამოყვანა. ქვეით-სანინალმდეგო ნაღმებთან შედარებით, ტანკსანინალმდეგო ნაღმები გამოირჩევა დიდი გაბარიტებით და წონით. არსებობს ფსკერსანინალმდეგო, მუხლუსანინალმდეგო, ბორტსანინალმდეგო და სხვადასხვა ჭკვიანი ტანკსანინალმდეგო ნაღმი. ტანკსანინალმდეგო ნაღმები მოქმედებს მასზე სატრანსპორტო საშუალების გადავლის შემთხვევაშიც.

**ზოგიერთი ტიპის ტანკსანინალმდეგო ნაღმები.**



**კასეტური საბრძოლო მასალები** – თანამედროვე ომებში, მონინალმდეგე მხარეები ხშირად იყენებენ კასეტურ საბრძოლო მასალებს, რომელიც ცოცხალი ძალის და მძიმე ტექნიკის დასაზიანებლად არის განკუთვნილი. სტანდარტული კასეტური საბრძოლო მასალის ხმელეთზე გაბნევისას, საკმაოდ მაღალია ზოგიერთი საბრძოლო ელემენტის არასწორად განთავსების ალბათობა, რომელიც შემდეგ დიდ საფრთხეს უქმნის სამოქალაქო პირებს. კასეტური ელემენტები ძირითადად საავიაციო ბომბების და რეაქტიული არტილერიის რაკეტებით იფანტება.

**პოვნის შემთხვევაში აჩავითაქ შემთხვევაში აქ შეეხოთ ფოტოზე გამოსახულ ან მსგავსი ფოტოს საგნებს.** ასეთი საბრძოლო მასალის ამფეთქი-დეტონატორები ხშირ შემთხვევაში მეტად მგრძობიარეა და შესაძლოა, უბრალო გამოძრავებითაც ამოქმედდეს.

სტანდარტულად გამოყენებისას, კასეტური საბრძოლო მასალების 30%-მდე აუფეთქებელი რჩება.



## სტრატეგიის და განვითარების ცენტრი

თბილისი, მცხეთის ქუჩა N48/50

+032 2 222 667

CSD@CSD.ORG.GE

WWW.CSD.ORG.GE